ამერიკა ამაყობს საქართველოსთან ურთიერთობით!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდ-ვეური სიფცვაა, ფცუიოებით და ჭოტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარბისიბაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 7 ივლისი. 2016 წ. №125 (8017), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გიორგი კვირიკაშვილმა და ჯონ კერიმ მემორანდუმს ხელი მოაწერეს

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთან სტრატეგიულ პარტნიორობას აფართოებს – ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ მნიშვნელოვან დოკუმენტებს მოაწერეს ხელი. მთავრობის პრესსამსახურის ცნობით, ამერიკა აღიარებს საქართველოს, როგორც რეგიონში სტრატეგიულ და სანდო პარტნიორს და მხარს უჭერს საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერებას.

ხელი მოეწერა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ მემორანდუმს. დოკუმენტი ქმნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის ახალ ჩარჩოს და მოიცავს თანამშრომლობის იმ სფეროებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოს უსაფრთხოებისა და მისი შეიარაღებული ძალების გრძელვადიანი მდგრადობისთვის და თავდაცვისუნარიანობის ეფექტურობის ამაღლებისთვის.

გუშინვე ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის მიზანია საქართველოსა და აშშ-ის შორის საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავება ფულბრაიტის აკადემიური გაცვლითი პროგრამის მიმართულებით. მემორანდუმი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის კერძო და საჯარო უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის ურთიერთობებს; მხარები გაუზიარებენ განათლების სფეროში არსებულ საუკეთესო გამოცდილებას, ასევე, შესაბამის უნივერსიტეტებში სწავლისა და სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობებს.

მოხარული ვარ, რომ ჩვენ სულ მალე, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს ვარშავაში, ნატოს სამიტზე

საქართველოს პრეზიდენტმა ჯონ კერის ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოში ჩამობრძანებისათვის, ჩვენი ქვეყნისა და დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერისათვის.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კი, თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა გიორგი მარგველაშვილს მასპინძლობისთვის და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამაყობს საქართველოსთან ურთიერთობით.

„მოხარული ვარ, რომ ჩვენ სულ მალე, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს ვარშავაში, ნატოს სამიტზე“, – განაცხადა ჯონ კერიმ

შეხვედრაზე განიხილეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარება, ნატოს ვარშავის სამიტისათვის მზადების საკითხი, საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი და შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები.

ჩემპიონი

კვარცხლბეკზე რიოშიც ავალთ



10

მიშას გამჩენი არ ასვენებს

3

უსაჯეთ სამართალი მართალი

6

ტრეფიკინგი

ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი...

11

ჯონ კერი:
მზერა დასავლეთს უნდა მიაპყროთ!

საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის სხდომა

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება საქართველოში, **ძალიან მიხარია თქვენი აქ ნახვა და ვაფასებ თქვენს ვიზიტსა და მხარდაჭერას საქართველოს მიმართ,** — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის სხდომაზე, რომელიც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პრემიერის შეფასებით, NATO-ს სამიტის წინ საქართველოსადმი ამერიკის მხარდაჭერის გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„ჩვენ მადლიერი ვართ ამერიკის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერისადმი. ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს ვატარებთ სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის პლენარულ სხდომას. ამ სესიისთვის ჩვენ მზად გვაქვს ხელშესახები შედეგები და განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ხელს ვაწერთ თავდაცვისა და უსაფრთხოების და განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ მემორანდუმს, სასიხარულოა, ასევე, USAID-ის ფარგლებში გათვალისწინებული ახალი პროგრამებიც“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოში განხორციელებულ მნიშვნელოვან რეფორმებსა და ამ პროცესში ამერიკის მხარდაჭერაზე გაამახვილა ყურადღება აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

„პრეზიდენტ ობამას სახელით მინდა გამოვხატო, რაოდენ მოხარული ვარ, რომ თქვენთან ერთად ვართ იმ გზაზე, რომელზეც დგახართ დამოუკიდებლობის 25 წლის მანძილზე — ვითარდებით სხვადასხვა მიმართულებით. თქვენ განახორციელეთ მნიშვნელოვანი რეფორმები და თავისთავად, როგორც ქვეყანა, უდიდეს პატივისცემას იმსახურებთ იმის გამო, რომ ინარჩუნებთ სურვილს, თქვენი მზერა დასავლეთს მიაპყროთ. თქვენი ქმედებები არაა მიმართული დამსჯელობითი, შურისმაძიებლური მიზნებისაკენ და მოქმედებთ თქვენი მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად — ამისთვის ნამდვილად პატივისცემას იმსახურებთ. თქვენ გაატარეთ უმნიშვნელოვანესი რეფორმები, ელოდებით არჩევნებს ოქტომბრის თვეში. ეს იქნება უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომლის მნიშვნელობაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოახდენს უდიდეს გავლენას საზოგადოების აზრზე იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით ვითარდება საქართველო. ვიცი, რომ ამჟამად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგახართ. ამჟამად, ამ პრობლემის წინაშე ყველა ჩვენგანი დგას. ამდენად, ჩვენთვის უაღრესად სასიამოვნოა თქვენთან თანამშრომლობის შესაძლებლობა — შესაბამისი მემორანდუმებისა და შეთანხმებების ფარგლებში, რომლებსაც დღეს მოეწერება ხელი და ასევე გვექნება შესაძლებლობა, გამოვაცხადოთ დამატებითი ღონისძიებების შესახებაც“, — აღნიშნა ჯონ კერიმ.

საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის სხდომაზე შეაჯამეს ქარტიის ფარგლებში მიმდინარე წელს ჩატარებული სამუშაო ჯგუფების საქმიანობა, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის, ასევე, დემოკრატიისა და მმართველობის მიმართულებით.

დაისახა თავდაცვისა და უსაფრთხოების, აგრეთვე, ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფების საქმიანობის პრიორიტეტები.

მხარეებმა საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობა წარმატებულად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ სხდომის პლენარული სესიის ყოველწლიურად ჩატარება, სტრატეგიული პარტნიორობის საკვანძო მიმართულებების უმაღლეს დონეზე განხილვის საშუალებას იძლევა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობა ორიენტირებულია როგორც საქართველოს, ისე რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების განმტკიცებაზე და დემოკრატიის ხელშეწყობაზე.

ყურადღება დაეთმო იმ მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებსაც, დღეს, მთავრობის ადმინისტრაციაში ეწერება ხელი, მათ შორისაა მემორანდუმი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ; საქართველოსა და აშშ-ის შორის საგანმანათლებლო თანამშრომლობას ფულბრაიტის აკადემიური გაცვლითი პროგრამის გაფართოების შესახებ; ასევე, განიხილეს USAID-ის ახალი პროექტი „ზრდა“, რომელიც საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით კი საოკუპაციო ხაზის მიმდებარე რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

ხაჭაპურისა და თქვენი შესანიშნავი ღვინის დაგემოვნების შემდეგ, არ მესმის, რატომ არ დავბრუნდი აქ უფრო მალე!..

თბილისში **მეორედ ვიმყოფები, თუმცა, სახელმწიფო მდივნის რანგში ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში,** — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მიდვანმა ჯონ კერიმ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ:

— ხაჭაპურისა და თქვენი შესანიშნავი ღვინის დაგემოვნების შემდეგ, არ მესმის, რატომ არ დავბრუნდი აქ უფრო მალე. მსურს, ასევე ვთქვა, რომ თქვენი სტუმართმოყვარეობა პირადად ვიგრძენი. ეს არის შესანიშნავი ვიზიტი ლამაზ ქალაქში, ლეგენდარული სტუმართმოყვარეობით. გულწრფელად გეუბნებით, რომ არ მქონდეს დაგეგმილი შეხვედრები ვარშავის სამიტამდე და მის შემდეგ, აქ უფრო დიდხანს დავრჩებოდი. ვიმედოვნებ, რომ სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ვადის ამოწურვამდე კიდევ მექნება შანსი აქ დაბრუნების“, — აღნიშნა ჯონ კერიმ.

ჯონ კერი: მინდა, დავადასტურო, რომ აშშ კვლავაც ერთგულია საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის

„საქართველოში 2008 **წელს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაციიდან მოკლე ხანში ჩამოვედი და როგორც მაშინ, ახლაც ვადასტურებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ერთგულია საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის“,** — ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან მიხეილ ჯანელიძესთან შეხვედრისას განაცხადა.

საუბრის დასასრულ ჯონ კერიმ იმედი გამოთქვა, რომ ვარშავის ნატოს სამიტზე საგარეო საქმეთა მინისტრებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესის შესახებ თბილისში განხილულ საკითხებზე მსჯელობის გაგრძელების შესაძლებლობა მიეცემათ.

მიხეილ ჯანელიძე: ჩვენ მოუთმენლად ველით ვარშავის სამიტზე მიღებულ კონკრეტულ შედეგებს

„ჩვენ მოუთმენლად ველით ვარშავის სამიტს და სამიტის ფარგლებში მიღებულ კონკრეტულ შედეგებს“, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან ჯონ კერისთან გამართული შეხვედრისას განაცხადა, სადაც, საქართველოსა და აშშ-ის შორის სტრატეგიული პარტნიორობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე იმსჯელეს.

მიხეილ ჯანელიძის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოსთან ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებზე და მხარს უჭერს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს. საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლიერება გამოხატა უსაფრთხოების სფეროში არსებულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რაც, მისი თქმით, საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებულ პარტნიორობას კიდევ უფრო აძლიერებს. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ვარშავის სამიტი ამ თანამშრომლობის გაღრმავების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იქნება.

კახი კალაძე: ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს ძალიან მძლავრი, მნიშვნელოვანი ურთიერთობები

საქართველოსა **და აშშ-ის შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებას საქართველოს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ეხმიანება.**

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი საქართველოში ვარშავის სამიტამდე შედგა.

„ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობას, ურთიერთობების გაღრმავებას. ეს არის უსაფრთხოება, ეს არის თავდაცვა, ეს არის ეკონომიკა, ხალხებს შორის ურთიერთობა. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ ეს ვიზიტი შედგა ვარშავის ნატოს სამიტის წინ. ეს არის კიდევ ერთი მხარდაჭერა, კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს ძალიან მძლავრი, მნიშვნელოვანი ურთიერთობები“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დავით ნარმანია: ყველას მკაცრად მოსთხოვეთ პასუხი, თორემ მოგეთხოვებათ უშუალოდ ჩემგან!

გუშინ **თბილისის მერიაში დედაქალაქის მთავრობის სხდომა გაიმართა.** სხდომის დასაწყისში დავით ნარმანიამ განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურად მუშაობს ქალაქი სხვადასხვა უბანში, მაინც ბევრია ისეთი ადგილები, სადაც პერიოდულად სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა ზიანდება და მწყობრიდან გამოდის.

„ეს ეხება არა მხოლოდ ჩვენ ქვემდებარე ინფრასტრუქტურას, არამედ სხვა ობიექტებს, რომლებიც რიგ შემთხვევაში კერძო ოპერატორების მართვის ქვეშ არის. მიუხედავად ამისა, მონიტორინგი ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ, კიდევ უფრო ინტენსიურ რეჟიმში მივცეთ მითითებები როგორც თბილისის მერიის ქვემდებარე სამუშაოების შემსრულებელ კომპანიებს, ასევე იმ კერძო კომპანიებს, რომლებსაც ესა თუ ის სერვისი აქვს დელეგირებული და ამ სერვისის მოწოდებას ახდენენ. დაზიანების შემთხვევაში დროულად და ოპერატიულად მოახდინონ რეაგირება. ამიტომ ყველას მკაცრად მოთხოვეთ პასუხი, თორემ მოგეთხოვებათ უშუალოდ ჩემგან და სფეროს კურატორი მოადგილეებისაგან, რომ ყველაფერი დროულად იყოს მოწესრიგებული და ჩვენი ქალაქი იყოს უფრო მეტად კეთილმოწყობილი, უფრო მეტად ლამაზი და მიმზიდველი“, — მიმართა თბილისის მერმა დედაქალაქის მთავრობის წევრებს.

◎ ტრაგედია

რუსთავში მერვე სართულიდან 2 წლის ბავშვი გადმოვარდა

ინფო რუსთავის ინფორმაციით, რუსთავში, XV მიკრორაიონში დილით 7:10 საათზე 2 წლის ბავშვი ფანჯრიდან გადმოვარდა. გავრცელებული ინფორმაციით სახლში ამ დროს მშობლებიც იმყოფებოდნენ, როგორც მეზობელი აღნიშნავს ბავშვი თავდაპირველად სარეცხის საფენ თოკებს, შემდეგ ხეს და ბოლოს მიწაზე დაეცა. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. ბავშვი „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანეს, საიდანაც ის ქალა-ტვინის მძიმე ტრავმით უკვე იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში გადაიყვანეს. არსებული ინფორმაციით ბავშვის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა, იმყოფება რეანიმაციაში, კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში, ჩაუტარდა 1 ოპერაცია, არის აპარატულ სუნთქვაზე.

ზღვაში 14 წლის მოზარდი დაიხრჩო

უბედური შემთხვევა ფოთთან მოხდა. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი ზღვაზე საბანაოდ მეგობართან ერთად იმყოფებოდა. ბანაობის დროს ორივე მათგანი ტალღამ გაიტაცა, თუმცა, ნაპირზე გამოსვლა მხოლოდ ერთ-ერთმა მოახერხა.

მიშას გამჩენი არ ასვენებს

სააკაშვილი თურმე დაბრუნებულა, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით!

ძველად, თუ კაცი მწვალებლად იყო მოვლენილი, ნიადაგ საკუთარ თავსაც არ ასვენებდა და ქვეყანასაც, მასზე ამბობდნენ — გამჩენი არ ასვენებსო. ამ მხრივ, ვფიქრობ, არაფერი შეცვლილა მიშა ოღრაშთან (სააკაშვილზე მოგახსენებთ) მიმართებაშიც, რომელმაც ყმაწვილკაცობიდანვე ისე შორს გაიგდო მწვალებლისა და ავკაცობის სახელი, რომ სრულიად დამსახურებულად ქვეყნის მაოხრებელ გზირადაც კი მონათლეს.

მე არ დამვიწყებია და ალბათ თქვენც კარგად გახსოვთ, პატივცემულო მკითხველო, სწორედ ქვეყნის მაოხრებელმა გზირმა, როცა საქართველოდან სამართალს გაქცეულმა უცხოეთს შეაფარა თავი, როგორი გულისამაჩუყებელი სიტყვებით აგვიცრემლა თვალები. როგორც მაშინ გვაუწყა, არჩევნებში დამარცხებული, სამშობლოდან კუდამოძუებული ექსპრეზიდენტი თურმე ღრმად ჩაფიქრებულა და მიმხვდარა, რომ მრავალწლიანი დაძაბული აღმშენებლობითი მოღვაწეობის შემდეგ, შეუძლებელია, ხალხს მმართველი ყელში არ ამოუვიდეს. ჰოდა, თურმე ამიტომაც, ხალხს თავი რომ არ მოაბეზროს, საზღვარგარეთ გადახვწილა.

ამის შესახებ მიშა ოღრაშმა საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გახსნაზე (მთლად რომ არ ამოგვეგდო მეხსიერებიდან, საჩუქრად ბიბლიოთეკა დაგვიტოვა) „სკაიპით“ პირდაპირი ჩართვისას განაცხადა: **„მიმაჩნია, რომ ჩემ ხალხს ჩემგან დასვენება სჭირდებოდა. რაღაც ეტაპზე ადამიანი თავის ყველა უბედურებას მმართველს აბრალებს და ჰგონია, რომ მისი ბედნიერების რეცეპტი პრეზიდენტის სეიფში ინახება. ეს არის ის მომენტი, როცა უნდა გაეცალო“,** — დასძენდა სააკაშვილი.

აი, ასე, თუმცა, ოღრაშსა და ცრუპენტელას, მაგრამ ხალხის კეთილდღეობაზე გადაგებულ ნაპრეზიდენტალს, როგორც ყოველთვის, წინდახედულმა გონიერებამ არც ამჯერად უმტყუნა და ღატაკი ქვეყნის მაშვრალთ ყველა თავიანთი გასაჭირი და უბუდერება მისთვის რომ არ გადაებრალებინათ („ოცნება“ რომ არ წახმარებოდა, ამის საშიშროება ნამდვილად არსებობდა), მომენტი იპოვა და გაეცალა. მან ზოგიერთებივით კი აი, იგოთვერნა და იმაიმუნა — ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობას გავექეცო, არამედ ხალხი აღმშენებლობითი საქმიანობით გადამეტვირთა და ჩემგან დასვენების შანსი მივეციო.

ყოჩაღ, მაღალო! დღევანდელ აწეწილ-დაწეწილ მსოფლიოში შენს გარდა მსგავს მოწყალებას სხვა რომელი ქვეყნის თავკაცი გაიმეტებდა? ერთადერთი, რაშიც ეჭვი შეიძლება შევიტანოთ, ის არის, რომ უმოწყალოდ ნაშრომ-ნაჯაფი სააკაშვილი იმავე „აღმშენებლობით საქმიანობისგან“ თავად ხომ არ გადაგვეღალა და ამის გამჟღავნებისა მოერიდა?!. არამც და არამც, ნაპრეზიდენტალს ამის გაგონებითაც კი თავის ბრუალი ემართება. მას პირველკაცობიდან წასვლის შემდეგაც კი არ სურდა, გამოტეხილიყო, რომ გადაიღალა და აქეთ გვიკიჟინებდა: ცოტაც რომ დამცლოდა, ნახავდით, რა სასწაულებს მოვახდენდი, ქართველებს ისეთ აყვავებულ ქვეყანას დავუტოვებდი, თავის დროზე ცხონებულ მიუნჰაუზენსაც კი არ დაესიზმრებოდაო.

ჩვენი ბაქიბუქა და შარახვეტია სააკაშვილისგან ამას რომ ვისმენდით, სულაც არ გვიკვირდა. შეიძლება მასზე ეთქვათ, შლეგი, გადარეული და დამთხვეულიაო (მსგავს ეპითეტებს თავადაც ხშირად ისმენდა), მაგრამ მიშა ოღრაში დაიღალაო, ასეთი მკრეხელობა მისი მოღვაწეობის მთელი 9 წლის მანძილზე არავის წამოსცდენია. არც მაშინ და არც ახლა, როცა მმართველობის სკამი გამოცლილი აქვს. პირიქით, უსკამო მიშა უფრო მოძრავი, უფრო მლანძღავ-მდორბლავი და ღრუბლებზე მფრინავი კოსმონავტივით გულადი და ჩაუქი გახდა. მას რატომაც დაავიწყდა, რომ ხალხს დასვენებას შეჰპირდა და დედამიწის სხვადასხვა წერტილიდან მშობლიურ საქართველოს პერმანენტულ მომაკვდინებელ დარტყმებს აყენებს.

აბა როგორ, ბატონებო, მიშა ოღრაში (ეს სიტყვა ნამეტანი მოერგო მიშას ნატურას) რის ოღრაში იქნებოდა, თუ თავის ნათქვამს თავადვე არ ალოკავდა? სამშობლოდან პანჩურამოკრულმა სააკაშვილმა იგრძნო თუ არა თავი სამშვიდობოზე გასულად, ჯერ ამერიკიდან დაუწყო კბენა ქართულ სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ იმავე ამერიკელი სატელიტების წყალობით ოდესაში გაგუბერნატორებულმა თავის შორსმსროლელი იდეური არტილერიით („რუსთავი-2“) პირდაპირ საჰაერო ფრონტი გაუხსნა „ქართული ოცნების“ თავკაცობას.

გასაკვირი არ არის, რომ დღს ექსპერტები და პოლიტიკოსები **სააკაშვილის უკრაინაში აღზევებას განიხილავენ როგორც შესაძლო ტრამპლინს საქართველოს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. ყველა ხვდება, რომ მარტო პოროშენკოსთან მეგობრობის ფასად არ გამოუკრავს ხელი სააკაშვილს ამ პოსტისთვის, რომ ამაში გადამწყვეტ ფაქტორად დასავლეთის მხარდაჭერა მოიაზრება. ეტყობა, ამიტომაც სტუმრობენ ბოკერიამოკერიები, კანდელაკ-ვაშაძეები და ნაცმოძრაობის სხვა თაღლითი პერსონები წარამარა სააკაშვილს. ეჭვი აღარავის ეპარება, იქ ერთობლივად გეგმავენ, რა ფორმებით შეცვალონ ნაცებმა მათ მიერ შერქმეული უქნარა და უნიათო ხელისუფლება საქართველოში.**

ამის თქმის უფლებას იძლევა ოდესაში გაგუბერნატორებული ქართველი ფიურერის — სააკაშვილის ნასროლი სიტყვები: „ჩემი ბრძოლა“, რომელიც არც თუ შემთხვევით გვახსენებს სისხლით გაუმაძღარი ჰიტლერის სიტყვებს წიგნიდან „ჩემი ბრძოლა“. ვფიქრობ, დღემდე არ დავიწყებია ხალხს უკრაინაში გაკეთებული ფარული ჩანაწერები, სადაც სააკაშვილი თავის ნარჩენებს მოუწოდებდა „რუსთავი-2“-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ბარიკადების აგების, შესაძლო სისხლის ღვრისა და სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლის საჭიროებაზე. ეს აზრი მან გაიმეორა ამ დღეებშიც, როცა ქვეყნისთვის წამებული რაინდი სკაიპით ჩაერთო იმავე „რუსთავი-2“-ის ღამის ეთერში.

ს აბრალებ და ჰგონია, რომ მისი ბედნიერების რეცეპტი პრეზიდენტის სეიფში ინახება. ეს არის ის მომენტი, როცა უნდა გაეცალ

— თავისუფლებას უნდა დაცვა და თავისუფლებისთვის არის ბრძოლა საჭირო. თუ გინდათ ყველაფრის ჩაბარება უბრძოლველად, ჩააბარეთ, მაგრამ მაშინ მომავალი არ გვექნება. თავისუფლებას უნდა ბრძოლა, როცა გვართმევენ თავისუფლებას, მომავალს, როდესაც თქვენს შვილებს არა აქვთ პერსპექტივა, როცა ქვეყანას ართმევენ! — გაჰკიოდა ეთერში პირაქაფებული ნაპრეზიდენტალი.

როგორ ფიქრობთ, ვინ გვართმევს თავისუფლებას, რუსეთი თუ სხვა ვინმე გარედან მომხდური მტერი? არა, რა თქმა უნდა, ეს მტერი, ნაცების აზრით, თავად ქვეყნის კოალიციური მთავრობა (ახლა უკვე პარტიებად დაშლილი) გახლავთ, რომელიც გვართმევს თავისუფლებას, მომავალს გვართმევს, საერთოდ ქვეყანას გვართმევს. ამ ყველაფერს უნდა დაცვა, რაც უბრძოლველად არ გამოვა. ერთადერთი პატრიოტული ძალა, რომელსაც შეუძლია საქართველო იხსნას ამ განსაცდელისგან, გახლავთ ნაციონალური მოძრაობა და მისი ფერგაუხუნარი ლიდერი სააკაშვილი, რომელიც თურმე „ოცნების“ გადაგდებისთანავე საფიცარ სამშობლოში დაბრუნდება(!).

მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, მანამდე იმდენი უნდა აგინონ და თათხონ „ოცნების“ ხელისუფლება, რომ ხის წვერზე შემორჩენილი რეიტინგის ბოლო ნაყოფიც გაგდებინონ. დღე ერთია და ათასჯერ უმეორებენ — უქნარები და უნიათოები ხართ, ხალხს სამართლიანობის დამკვიდრებას და კარგ ცხოვრებას შეპირდით და ვერც ერთი ვერ შეასრულეთო. ისე, კაცმა რომ თქვას, ახია ამათზე (ქოცებზე), რომელთაც დემოკრატობანას თამაშის მოტივით, ტირანი ნაცების პრესტიჟი დაიცვეს, საკუთარი რეიტინგი კი მიწასთან გაასწორეს. აკი უფასებენ კიდევაც ამ თავგანწირვას „ოცნების“ მესვეურთ სულგაყიდული ნაცები და მათი რუპორი, ასევე ნამუსგაყიდული „ცრუსთავი-2“, საიდანაც მთავრობის მაგინებელ-განმაქიქებელი „სიუჟეტები“ უწყვეტ ნაკადად მოსჩქეფს.

ამ ორიოდე დღის წინათაც კონჩიტად მონათლულმა გიორგი გაბუნიამ კიდევ ერთხელ მოგვცა საშუალება, დავმტკბარიყავით სააკაშვილის გასიებულ-გაფიჟვინებული სიფათის ცქერით და აღვფრთოვანებულიყავით მისი საქართველოში მეორედ აღზევებასთან დაკავშირებული სამომავლო ზრახვებით. ეს შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ მიშასთან ერთად თავის გეგმებზე გვესაუბრა ასევე სამშოლოდან გადახვწილი (ამჟამად უკვე დაბრუნებული) აჭარის ნათავკაცარი ვარშალომიძე, რომელმაც ცრემლნარევი ხმით გაიხსენა მის მიერ ბათუმში ნაკეთები დიდი საქმეები... რაც იქიდან წავედი, მას მერე ქალაქში კენჭი კენჭზე აღარ დადებულა, მხოლოდ ინგრეოდა და ნადგურდებოდაო. ამიტომ თუ გვინდა, რომ ქვეყანა გადარჩეს და ხალხმა ხეირი ნახოს, ჩვენი უკან დაბრუნება აუცილებელიაო, — დაასკვნა სააკაშვილმა. მერე იქვე დაამატა, **არ იფიქროთ, რომ რაც ადრე ვიყავით, ისეთივე დავრჩით, უცხოეთში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ გვასწავლა, დაშვებულმა შეცდომებმა თვალი აგვიხილა და ჩაგვაფიქრა. ასეა, ჩვენ ახლა სამშობლოში, თქვენ რომ გახსოვთ ის ნაცები კი არა, სრულიად შეცვლილნი, დაღვინებული და დაბრძენებულნი დავბრუნდებითო.**

აუჰ, ამას რას მოვესწარით, თურმე ეს ჩვენი ჩაუქა ნაპრეზიდენტალი, მას შემდეგ, რაც სამართალს თავარიდებულმა უცხოეთს შეაფარა თავი, ერთბაშად დადინჯებულ-დაბრძენებულა და ჩვენ კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ეს როგორ, მიშა ოღრაშო, გინდათ ის ტირანია, ყაჩაღობა, მკვლელობები, უზნეობა და კაცთმოძულეობა, რაც თქვენი მმართველობის წლებში ქვეყანაში დანერგეთ, თქვენს ახალგაზრდულ სიგიჟმაჟესა და უზნეობას გადააბრალოთ და პასუხისმგებლობა მთლიანად დღევანდელ ხელისუფლებას აკიდოთ? მაგრამ თუკი უკვე დაღვინებულ-დაბრძენებული ბრძანდებით და თქვენსავე ნაკეთებ სისულელეებსა და სიბინძურეს გონების თვალით აანალიზებთ, მაშინ საქართველოში მობრუნებას რა პირითღა აპირებთ?

თუმცა ნორმალური მიშა საქართველოში ჯერ არავის უნახავს და რაღა ოდესაში გაკაცურკაცდებოდა? ამ დღეებშიც კი, როცა საქართველომ სააკაშვილის მწამებლური რეჟიმის მსხვერპლი — გულანთებული მამულიშვილი სულხან მოლაშვილი გულმდუღარედ დაიტირა, მიშას შუბლზე ძარღვიც არ შეტოკებია, პირიქით, მხნეობაშემატებულმა „აღმაშენებელმა“ თახსირ თანაპარტიელებს ოდესიდან შემოუთვალა, მალე მოვბრუნდები, დიდგორის ველზე თავყრილობა გამართეთ და საზეიმოდ შემეგებეთო!

ნაცხროვის ლიდერის — პოლიტიკურ სანაგვეზე მოსროლილი მიშას თავხედობა ამაზე შორს ვერ წავა!...

ოთარ ხუციშვილი

დავით უსუფაშვილმა თბილისში გამართული ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა შეაჯამა

„მოხარული ვარ, რომ პრაქტიკულად, ყველა დელეგაციის და მონაწილის მხრიდან, მივიღეთ ძალიან გულწრფელი მადლობის სიტყვები, ღონისძიების ძალიან მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის. მისი ყველა კომპონენტი, ტექნიკური, ორგანიზაციული, შინაარსობრივი, აღმოჩნდა ძალიან მაღალ დონეზე. ვერ ავუდივარ კოლეგების სამადლობელ სიტყვებს და მინდა, ჩემი მხრიდან მადლობა მოვახსენო ყველას“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ამ დღეებში საქართველომ დაადასტურა, რომ მსგავსი ღონისძიებების მაღალ დონეზე ორგანიზება შეუძლია. თუმცა, მისივე შეფასებით, ღონისძიების მიმდინარეობისას, იყო გარკვეული პოლიტიკური ნიუანსებიც. ამ მასშტაბის ღონისძიება საქართველოში პირველად გაიმართა და მომავალში, ქვეყანა მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებს.

დავით უსუფაშვილმა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ახლადარჩეულ პრეზიდენტს საქმიანობაში წარმატება უსურვა.

„მოხარული ვარ, რომ მე პირადად, თქვენთან ერთად, ყველასთან ერთად, მომიწია ამ ღონისძიების არა მხოლოდ მონაწილის სტატუსში ყოფნა, არამედ, როგორც ერთ-ერთი თანაორგანიზატორის და ვუსურვებ ყველას წარმატებებს, მათ შორის, ასამბლეის ახლად არჩეულ პრეზიდენტს, ვინც არ უნდა იყოს ის“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

„ქართული ოცნება“ მაჟორიტარების წარდგენას იწყებს

„ქართული ოცნება“ — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის ინფორმაციით, პარტია უახლოეს დღეებში დაიწყებს მაჟორიტარების წარდგენას.

„უახლოეს დღეებში არ გამოვრიცხავთ, მოხდეს პარტიული სიის ძირითადი ნაწილის წარდგენა. ეს პროცესი ძალიან აქტიურად დაიწყება. ჩვენ ზოგადად აქტიურად ვიწყებთ წინასაარჩევნო კამპანიას, წინასაარჩევნო აგიტაციას და უახლოეს დღეებში ბევრი სიახლე გახდება ცნობილი“, — განაცხადა კობახიძემ.

◎ რეფორმა

შეღავათები ბევრს ნიშნავს!

ზაფხულის **დადგომასთან ერთად, საქართველოს საგადასახადო კოდექსში, გადასახადების ერთიან რეფორმასა და საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებასთან დაკავშირებით, მეტად საგულისხმო ცვლილებები შევიდა. მათ შორის, კერძოდ, საგადასახადო დავის პერიოდში მეწარმე სუბიექტების საბანკო ანგარიშების დაყადაღება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება, ასევე დამატებული ღირებულებებით დასაბეგრ ოპერაციებში გამოსაყენებელი წარმოების ძირითადი საშუალებების იმპორტი ამ სახეობის გადასახადისგან გათავისუფლდება.**

საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ საგადასახადო კოდექსის ამოქმედებულ ცვლილებებს შორის მნიშვნელოვანია გარკვეული სახის საგადასახადო ამნისტია: **ქვეყნის მთავრობა, ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით, ემზადება 2011 წლამდე წარმოშობილი ყველა საგადასახადო დავალიანების ჩამოსაწერად, მათი მოცულობა კი 1,4 მილიარდ ლარზე მეტია. ასევე ჩამოიწერება 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი დავალიანებები, თუკი მეწარმე სუბიექტები თანხის ძირს გადაიხდიან. ეს კი კიდევ 600 მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერას გულისხმობს.**

საგადასახადო ამნისტიის შედეგად დავალიანება მთლიანად 70 ათას იურიდიულ პირს სრულად, 27 ათასს კი ნაწილობრივ ჩამოეჭრება, კერძოდ კი მათ, ვისაც ეკონომიკური აქტივები არ დაუდგინდება. კიდევ ერთი სიახლე ისაა, რომ ამიერიდან საგადასახადო კონტროლს მხოლოდ საგადასახადო ორგანო განახორციელებს. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს კომპანიების საბანკო ანგარიშების დაყადაღების უფლება კი ექნება, ოღონდ 48 საათის განმავლობაში ამაზე სასამართლო დადგენილებაც ხელთ უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყადაღა ავტომატურად მოიხსნება.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებებიდან უმთავრესი, მოგების გადასახადის რეფორმა, ბიზნეს-სუბიექტებთან მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად, გაისად 1 იანვრიდან ამოქმედდება. როგორც ცნობილია, **ამ მხრივ საქართველოში ეგრეთ წოდებული „ესტონური მოდელის“ შემოღება იგეგმება, რომლის არსია გაუნაწილებელ მოგებაზე, ანუ წარმოების გაფართოება-განვითარებაში რეინვესტირებულ თანხებზე 15-პროცენტიანი მოგების გადასახადის გაუქმება.** სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ, ესტონეთის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ გადასახადის გაუქმებიდან პირველი ორი წლის მანძილზე ბიუჯეტის შემოსავლის საგადასახადო ნაწილი მართალია მცირდება, თუმცა კი ამის შემდეგ ბიზნესის აღმავლობის შედეგად, ის მნიშვნელოვან მატებას იწყებს. ჩვენს რეალობაში კი, სპეციალისტების წინასწარი ვარაუდით, 2017-18 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 500 მილიონი ლარის შემოსავალი დააკლდება, რა თანხაც, მთავრობის განცხადებით, ადმინისტრაციული ხარჯის შემცირებით ანაზღაურდება.

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ წლევანდელი ეკონომიკური ზრდის ტემპმა ინდიკატორულ მაჩვენებელს გაუსწრო და, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, იანვარ-ივნისში, შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს 8,3 პროცენტით გადააჭარბა.

თუ რა შედეგი მოყვება აღნიშნული ცვლილებების ამოქმედებას, როგორ აისახება ისინი ბიუჯეტის შემოსავალზე და რამდენად უბიძგებს მეწარმე სუბიექტების, ვთქვათ, „საგადასახადო კეთილსინდისიერების“ დონის ამაღლებას, ამას, ცხადია, მომავალი გვიჩვენებს. მოლოდინები კი დიდია, რადგან, ისევ ესტონური გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, რეფორმებს დადებითი მომენტები უნდა მოსდევდეს, მათ შორის, **დაჩქარდეს ეკონომიკური ზრდა, გაიზარდოს ბიზნესის (განსაკუთრებით მცირე და საშუალოსი) ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობები, მოიმატოს მეწარმე სუბიექტების აქტივების ლიკვიდობის ხარისხმა, იმატოს ინვესტიციების ნაკადმა და კაპიტალის მოცულობამ, ასევე მეწარმეთა ეკონომიკურმა მდგრადობამ და ა.შ.** ყველაფერმა ამან კი აუცილებლად ხელი უნდა შეუწყოს მთავრობის მიერ ეკონომიკური აღმავლობის უახლოესი პერიოდის სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელებას, რომლის მიზანია 2030 წლისთვის ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეობაზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ოთხჯერადი გაზრდა.

ოთარ ტურაბელიძე

დეველოპერები საშენი მასალების ხარისხის კონტროლს ითხოვენ

სამშენებლო-დეველოპერული **კომპანიები საშენი მასალების ხარისხის კონტროლის აუცილებლობაზე საუბრობენ.** „ლისი დეველოპმენტის“ გენერალური დირექტორი ნოდარ ადეიშვილი აცხადებს, რომ აუცილებელია, მოხდეს მონიტორინგი და კონტროლი როგორ და რა მასალებით აშენებს კომპანია. ადეიშვილის თქმითვე, კომპანიებმა ასევე უნდა შექმნან ისეთი პროდუქტი, რომელიც არ დაზიანებს ქალაქის იერსახეს.

„ეს უნდა იყოს მერიის პრიორიტეტი, რომელიც ამჟამად ცდილობს, ეს პრობლემა გადაჭრას. ახალმა გენგეგმამ უნდა გადაჭრას ეს პრობლემა და მანამდე, სანამ რეგულაციები იქნება, კომპანიებმა თავად უნდა იზრუნონ ამ საკითხზე. არ უნდა დავაზიანოთ ქალაქის იერსახე იმისათვის, რომ ბიზნესი მოგებაზე გავიდეს“, — განმარტავს ნოდარ ადეიშვილი.

„კაპაროლ ჯორჯიას“ დირექტორი ბორის გამრეკელი სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლის ამოქმედებას კრიტიკულად მნიშვნელოვანს უწოდებს. მისი თქმით, ნებისმიერი მშენებლობა სტანდარტების შესაბამისი უნდა იყოს, იქნება ეს ევროპული, ამერიკული თუ ჩინური. გამრეკელი ამბობს, რომ ერთი სტანდარტის დამკვიდრება და ყველას იძულება, დაემორჩილონ ამ სტანდარტს, არ იქნება სწორი. ბორის გამრეკელი ამბობს, რომ მეორე საკითხია განათლება პროფესიული კუთხით. შესაძლოა, სამშენებლო მასალა მაღალი ხარისხის იყო, თუმცა მისი გამოყენება არასწორად მოხდეს და შედეგად ის დაბალი ხარისხის გახდება. **„სამწუხაროდ, საქართველომ სამშენებლო მიმართულებით განათლება შეაჩერა. შედეგად გვყავს ხალხი დაბალი ან ნახევარი კვალიფიკაციის“** — ამბობს გამრეკელი.

ავსტრიული საინვესტიციო კომპანია „რეზიდ ჰოლდინგ ჯი-ემ-ბი ეიჩი“-ს წარმომადგენელი, რომელიც თამარ მეფის ხიდთან King David თაუერებს აშენებს, აცხადებს, რომ საჭიროა კონტროლი, რადგან დღეს ეს კომპანიების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ნინი მარიამიძის თქმით, ხშირად კომპანიები იყენებენ სხვადასხვა პოპულარული ბრენდების სახელებს მომხმარებლების მისაზიდად. მეორე მხრივ, მომხმარებლებსაც არა აქვთ დეტალური ინფორმაცია ხარისხის შესახებ . **„ქართველი მომხმარებლებისგან განსხვავებით უცხოელებს ბევრად მეტი კითხვა აქვთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ხშირად მომხმარებლები არ აქცევენ ხარისხს ყურადღებას. ამიტომ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ზომების კანონით კონტროლი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნეგატიურ შედეგამდე მიგვიყვანს, სადაც პასუხისმგებელი არავინ იქნება,“** — განმარტავს მარიამიძე.

financial-ის კვლევების მიხედვით.

არჩილ ხაბაძემ თანამდებობა დატოვა

აჭარის **მთავრობის ხელმძღვანელმა არჩილ ხაბაძემ თანამდებობა დატოვა. განცხადება მან თავად საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა. ხაბაძის თქმით, ის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას გეგმავს. აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა 2012 წლის არჩევნების შემდეგ, აჭარის რეგიონში განხორციელებულ პროექტებსა და რეფორმებზე გაამახვილა ყურადღება.**

როგორც ხაბაძემ აღნიშნა, ის ამაყობს საკუთარი გუნდის მიღწევებით და იმით, რომ ოთხი წლის განმავლობაში აჭარის მთავრობის საქმიანობა იყო ღია და გამჭვირვალე. აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ერთადერთ კანდიდატად ყაზახეთში საქართველოს ელჩი, ზურაბ პატარაძე სახელდება.

შეუმდგარი საქართველო გლობალურ ინდექსში

„მშვიდობის ფონდმა“ **ქვეყნების შეუმდგარობის (სიმყიფის) ინდექსი გამოაქვეყნა (Fragile States Index), რომელიც ხელისუფლებების მიერ ტერიტორიული მთლიანობის, დემოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მართვის უუნარობის დონეს ასახავს. საქართველო არასტაბილურობის მომეტებული რისკის მქონე ქვეყნებს შორის აღმოჩნდა. ექსპერტები ამ არასახარბიელო შედეგს სხვადასხვაგვარად ხსნიან.**

ინდექსი 10 ჯგუფადაა დაყოფილი, რომელთაგან თითოეული მიღებული სარეიტინგო ქულების შესაბამისად ამა თუ იმ სახელმწიფოს შეუმდგარობის (სიმყიფის) დონის კლასიფიცირებას ახდენს.

წლევანდელ ინდექსში 178 ქვეყანა მოხვდა. საუკეთესო შედეგი ფინეთს აქვს, რომელიც 18,8 ქულით ყველაზე სტაბილურ ქვეყნად დასახელდა. ყველაზე უარესი შედეგი სომალიმ აჩვენა — 114 ქულა. საქართველოს კი პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შედეგი აქვს — 78,9 ქულა და მხოლოდ რუსეთსა და ყირგიზეთს (81-81 ქულა) უსწრებს.

საქართველოს დაბალი სარეიტინგო ქულები ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა სიტუაცია იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით და გარე აგრესიასთან დაპირისპირების უუნარობა, პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძის შეფასებით, რუსული აგრესიით აიხსნება. კერძოდ, მისი თქმით, როდესაც ქვეყნის ორი რეგიონი ოკუპირებულია და სახეზეა დაახლოებით 200 ათასი დევნილი, ისაუბრო მაღალ სტაბილურობაზე — არალოგიკურია:



„ბუნებრივია, რეიტინგში საქართველოს სავალალო პოზიცია ძირითადად გარე რისკებითაა განპირობებული, თუმცა ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების ერთობლიობით ჩვენ ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ სტაბილურობის დონეს. უნდა გვესმოდეს, რომ საქართველო გეოსტრატეგიულ გზაგასაყარზეა, სადაც რუსეთის, დასავლეთისა და თურქეთის ინტერესები იკვეთება. დარწმუნებული ვარ, ქვეყანაში ნატოს წარმოდგენილობის ეტაპობრივი ზრდა დადებით როლს შეასრულებს სტაბილურობის განმტკიცებაში“, — ამბობს ვაჟა ბერიძე.

თავის მხრივ, ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი ნიშანდობლივად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ საბერძნეთი, რომელმაც ევროკავშირის ქვეყნებს შორის ინდექსში ყველაზე უარესი პოზიცია დაიკავა, საქართველოს 58 ადგილით უსწრებს. მისივე ჰყავს, საქართველოს არასახარბიელო პოზიცია ადგილობრივი პრობლემებითაა განპირობებული:

„სამწუხაროდ, ქართველი ხალხის კეთილდღეობა ძალიან დაბალ დონეზეა, რაც განსაზღვრავს კიდეც პოლიტიკური ელიტების ფილოსოფიას. იგივე საბერძნეთს, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ პრობლემების მთელს წყებას შეეჯახა, საქართველო ყველა ინდიკატორით რამდენჯერმე ჩამორჩება. ინდექსიდან ასევე ჩანს, რომ საქართველოში ღირებულებების სხვა სისტემაა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სტაბილური ქვეყნების ფასეულობათა სკალისაგან. ელიტებს შორის ერთობის არარსებობა და უუნარობა, ჩამოაყალიბონ ისეთი გარემო, სადაც კანონების აღსრულება და ადამიანის უფლებათა დაცვა საყოველთაო ვალდებულებაა, ბევრ რამეზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, შეიძლება, უსასრულოდ ვიდავოთ, რამდენად აქტუალურია საყოველთაო სიღარიბის ფონზე ქვეყანაში იმ რეფერენდუმის ჩატარება, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვაზე იქნება მიმართული, თუმცა სტაბილურობას ეს არაფერს შეჰმატებს“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

ეჰ, იაკობ!

ჩვენი იაკობი, გვარად ლეჟავა, ერთობ ცელქი და მოუსვენარი ვინმე ჩანს. ჩემ გამო ის უკვე მესამედ აწუხებს ისეთი სოლიდური გაზეთის რედაქციას, როგორიც „საქართველოს რესპუბლიკაა“. ამას წინათ მეც შევეპასუხე, — „უკეთეს გასართობს რას ნახავს ადამიანი-მეთძი“, მივწერე და ვაგრძნობინე, რომ მასთან კამათს სერიოზულ საქმედ არ მივიჩნევდი.

როგორც ირკვევა, ამან კიდევ უფრო მეტად გააღიზიანა იაკობის პროფესიული თავმოყვარეობა და გადაწყვიტა, მთელი თავისი „შემოქმედებითი ავლადიდებით“ წარმდგარიყო მკითხველის წინაშე. ნუ იტყვით და, თურმე 130-ზე მეტი სტატიის ავტორი ყოფილა, ანუ აკაკის თქმისა არ იყოს, „ასი ჯორი საპალნეა, რაც რამ დაუწერიაო“...

ეს რა საგონებელში ჩამაგდე, იაკობ?!

იაკობ ცურტაველი წამიკითხავს, იაკობ შემოქმედელიც და იაკობ გოგებაშვილიც., თქვენ წარმოიდგინეთ, წმიდა იაკობის ეპისტოლეებსაც კი გავცნობივარ, მაგრამ მომკალით და ამ იაკობ ლეჟავას შესახებ აქამდე არაფერი მსმენოდა.

ამოდენა საგანძურის პატრონი, ცხადია, კიდევ უფრო განრისხდებოდა, რომ ცა თქვენმა მონა-მორჩილმა გაბედა და მისი **აბობოქრებული უმეცრება** საჯაროდ ამხილა: „როგორ ვიფიქრებდი, რომ იგი გამოპასუხებას გაბედავდაო“ — გულისწყრომით შენიშნავს იაკობი და იქვე დასძენს: „ვინ არ გამიკრიტიკებია **2008 წლიდან** მოყოლებული... მაგრამ არც ერთ მათგანს საპასუხოდ ხმა არ ამოუღიაო“.

არ ვიცი, იაკობი **2008 წლამდე** სად და რას აკეთებდა (ამის თაობაზე ისტორიის სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი), მაგრამ ის ფაქტი, რომ მის აბდაუბდას აქამდე არავინ გამოპასუხებია, იმაზე მეტყველებს, რომ იაკობის აბეზარ თავდასხმებს სერიოზულად არც სხვები აღიქვამდნენ. თითოეულ მათგანს, ალბათ, გონებაში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა:

შენღა გვაკლდი, იაკობ!

მეც ასეთივე განწყობა მეუფლება, მაგრამ ზაფხულის ამ პაპანაქება დღეებში ეპიზოდური **ია-კობობა** მართლაც უებარი გასართობია და ამაზე უარის თქმას ნამდვილად არ ვაპირებ.

„ჩემი ორივე წერილი უნდა განეხილაო“, „პირველ წერილს საერთოდ გვერდს უვლისო“, „ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას უკადრებელი აკადრაო“, — დაუზოგავად მტუქსავს და როგორც თავად შენიშნავს, პირდაპირ **„ტრუბაში მაძვრენს“** ხმალშემართული იაკობი.

გამოდის, რომ რამდენი სისულელეც ჩვენს იაკობს კალმის წვერზე მოადგება, უთუოდ მე უნდა ვაგო პასუხი! ამ კაცს თავიდან ბოლომდე ორი წიგნი რომ ჰქონდეს წაკითხული, ეს არცთუ ურიგო პროცედურა იქნებოდა, მაგრამ რა ჩემი ბრალია, თუკი მისი პრეტენზიები სრულ უმეცრებაზეა დამყარებული?!

იაკობი იმასაც ვერ მიმხვდარა, რომ ეკლესიასთან დაკავშირებით მე მხოლოდ **გავიმეორე** ქართულ პუბლიცისტიკაში გავრცელებული და წერა-კითხვის რამდენადმე მცოდნე ყველა ადამიანისთვის საკმაოდ ცნობილი ზოგიერთი მოსაზრება. მტკივნეული შინაარსის მიუხედავად, ეს მოსაზრებანი მხოლოდ სარწმუნოებისადმი ერის და ბერის ზედმიწევნითი ერთგულების აუცილებლობით არის შთაგონებული და იაკობის მსუბუქ ფანტაზიას არაფრით ეხმიანება. ამ არამკითხემ იქნებ სხვის დაუხმარებლად გამოიცნოს იმ **კარგი ქართველი მწერლის** ვინაობა, ვისაც ეკუთვნის გულისმომკვლელი, მაგრამ ღრმად დამაფიქრებელი შემდეგი სიტყვები: **„ქართველ ერს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს: ეს არის თვითონ ქართველი ერი... დაუნდობლობა, გაუტანლობა, შური, ღვარძლი... უნდა მოისპოს ეს ცოდო!“** ამავე მწერლის არქივმა შემოგვინახა მტანჯველი განცდებით აღსავსე კიდევ ერთი საგულისხმო შეძახილი: **„ეკლესია სახლია უფლისა, მაგრამ როცა შიგ ფული და ანგარება დაისადგურებს, ის უმალ მტერია ქრისტეს სარწმუნოებისა... უნდა მოისპოს ეს ცოდო და ჩვენს რწმენას ვერაფერი გასტეხს!“**

განა ვინმეს ენა მოუბრუნდება, რომ ამ სიტყვების ავტორს მკრეხელობა და კადნიერება დასწამოს?

ის მწერალი, ვისი გვარიც ჩვენს იაკობს, ალბათ, უკვე ენის წვერზე ადგას, ქართველთა შორის ჭეშმარიტად სწორუპოვარი მამულიშვილის მსოფლმხედველობრივი მემკვიდრეა.

ღმერთმა დამიფაროს, თავი მათ გვერდით მოხსენიების ღირსად მივიჩნევდე, მაგრამ ზოგჯერ (თუნდაც საქართველოს შელახული დამოუკიდებლობის დღეს), ღვაწლმოსილ წინაპართა შეგონებების გახსენება ნამდვილად არ გვაწყენდა.

იაკობი კვლავ გულამოსკვნით მოთქვამს: ქორიძეს და მისთანებს აწი აღარაფერი ეშველებათო., პარალელურად კი ისევ იმ აფორიზმით ცდილობს საამქვეყნოდ ჩემს მობრუნებას, **„ასეთი შემთხვევისთვის“** საგანგებოდ რომ დაუზუთხავს.

რა გაეწყობა! ნეტავი თავის უმეცრებას უწამლოს და მზად ვარ, ამ კეთილშობილურ საქმეს შევეწირო!

თვითონაც მოისვენებს და სხვებსაც მოასვენებს!

მაგრამ იღბალი არ გინდა? იაკობის ბასრ კალამს კვლავ და კვლავ კონვეიერული სისწრაფით გამოჰყავს ახალ-ახალი სისულელეები და ძახილის ნიშნებით მოითხოვს მათზე პასუხის გაცემას...

„რა აუცილებლობა იყო 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის მაინცდამაინც გამსახურდიას დაბადების დღეს გამართვა (ამ დღეს, როდესაც ზვიად გამსახურდია 52 (!) წლის გახდა, ფილოლოგი ქორიძე იუბილეს უწოდებს!)“

იაკობ! წიგნთან და სწავლა-განათლებასთან მწყრალად რომ ბრძანდები, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ „იუბილესთან“ დაკავშირებით უცხო სიტყვათა ლექსიკონში ჩახედვა ნამდვლად არ გაწყენდა! იქნებ ისიც გაგვიმხილო, — რა კრიმინალი დაინახე იმაში, რომ საკავშირო რეფერენდუმიდან ორი კვირის თავზე (თვის ბოლო კვირა დღეს 31 მარტს) დაინიშნა ეროვნული რეფერენდუმი და ეს დღე ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 52 წლისთავს (ანუ იუბილეს) დაემთხვა?

რა ასეთი მოუცილებელი ღვარძლი გამოგყვა ამ დღის გამო? ბოლოს და ბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოდ აღიარებული ზვიად გამსახურდიას საიუბილეო თარიღი ემოციურად მიმზიდველი რატომ არ უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის თანამემამულეებისთვის? რა შუაშია **„იმ დროინდელი ხელისუფლების პოლიტიკური სამზარეულო“?**

როგორც ჩანს, მსგავსი ავადმყოფური ზმანებები იაკობს მეტწილად სამზარეულოში ეწვევა ხოლმე, და მათში ამიტომაცაა ასე უხვად მინდორ-მინდორ ამოკრებილი ამდენი „პრასა და ქინძი“...

„არც სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად დათმობებზე წასვლა ურჩევიათ პირველი პრეზიდენტისთვის (ვინმეს რომ ერჩია, 25 წლის შემდეგ მაინც ხომ გვეცოდინებოდა)?“ - იაკობი მცირე უხერხულობასაც ვერ გრძნობს იმ სრული ინფანტილურობის გამო, რომელიც მის „აზროვნებას“ ახასიათებს. არადა, ამ თემასთან დაკავშირებით საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა არსებობს და რა ჩვენი ბრალია, თუკი ეს იაკობი გამოქვაბულიდან ჯერაც ვერ გამოსულა? სხვათა შორის, მათ შესახებ ჩემს ახლახან გამოქვეყნებულ ჩემს წიგნშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი, მაგრამ მოუსვენარ „ოპონენტს“ არაფრის გაგება არ სურს, ზვიად გამსახურდია მსხვერპლად შეეწირა საქართველოს თავისუფლებას! **კიდევ რა უნდა „დაეთმო“ ადამიანს?!**

„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 9 აპრილსო, — აღნიშნავდა ზ.გამსახურდია და ამით ღირსეულ პატივს მიაგებდა მამულისთვის თავგანწირულთა ხსოვნას. „მე და ძალიან ბევრ ჩემისთანას ეს არ გვჯერაო“, — აცხადებს ურწმუნო იაკობი და ჯიუტად დასძენს: **„დამოუკიდებლობისთვის ნამდვილად ვიბრძოლეთ, მაგრამ, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მივიღეთო“...**

იაკობს არ სურს, **„დაიჯეროს“,** რომ საბჭოთა იმპერიის დაშლაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოუკიდებლობისთვის ქართველი ერის ბრძოლამაც შეასრულა გადამწყვეტი როლი. **იაკობს და „იაკობინელებს“ სწორედ ამის აღიარება ეძნელებათ! რატომ? იმიტომ, რომ ამ კაცს, როგორც თავად შენიშნავს, 2008 წლამდე საღათას ძილით ეძინათ და მგონი დღესაც გამოუძინებლები არიან.**

„ძნელია, კაცს ედავო და რამეში დაარწმუნო იგი, — დინჯად შენიშნავს იაკობი, — როცა მას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა (რომელიც არაერთი წელი შეიძლება გაგრძელდეს), ამ ბრძოლებში დაღუპულთათვის(!) პატივმისაგები დღე და დამოუკიდებლობის (!) დღე ერთმანეთისგან ვერ განუსხვავებიაო“.

მოდი და ამ ბნელმეტყველების ავტორთან ურთიერთობისას წონასწორობა შეინარჩუნე!

შენობით მომმართავსო, — თან აქეთ მიკიჟინებს თავად უზრდელობაში გვარიანად გაწაფული იაკობი.

ახლა კი შენ მოგმართავ პატივცემულო მკითხველო: ცხოვრების არცთუ მცირე ნაწილი პოლემიკაში მაქვს დახარჯული. ეს ჯანმრთელობისთვის მაინცდამაინც მარგებელი არ არის, მაგრამ სანუგეშებლად ისიც მყოფნის, რომ მოპაექრეთა უმრავლესობა, ინტელექტუალური შესაძლებლობების მხრივ, ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა.

პატივი და ღირსება იმათ და კიდევ იმათ, ვისაც გულრწფელად სჯერა, რომ კამათში იბადება ჭეშმარიტება!

თუმცა, ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ერთმანეთს ნამდვილი გიგანტები ერკინებიან.

პირადად მე გიგანტომანიას აქამდე არ შევუწუხებივარ. იაკობის გაქანების შემყურეს კი ეჭვი მიპყრობს, რომ ის მანამდე არ მოისვენებს, სანამ რომელიღაც დინოზავრის საკბილო არ გახდება.

ფრთხილად იაკობ, იცოდე, მე ვერაფერს გიშველი!

თემურ ქორიძე

SOS!

დურუჯი და კაბალი კახეთს საფრთხეს უქმნიან

კახეთში რომ ეკოლოგიური საფრთხეები არსებობს, ამაზე თითქმის არავინ დავობს, თუმცა, რა კეთდება ამ საფრთხეების შესამცირებლად და რამდენად საშიშია კონკრეტული კერები მოსახლეობისთვის, ეს საკითხი უკვე მსჯელობის და ზოგჯერ დავის საგანია.

გეოლოგები და არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე წლებია, ლაპარაკობენ, რომ ყვარელში მდინარე დურუჯი საშიშია, რადგან, როგორც ირკვევა, მდინარის კალაპოტი უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე დასახლება. ამიტომ არის საშიშროება, რომ ადიდების შემთხვევაში დურუჯმა, შესაძლოა, ყვარლის მოსახლეობას პრობლემები შეუქმნას.

ამ საფრთხეებზე საუბრობენ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელში. ამ ორგანიზაციების კოორდინატორი კახეთის რეგიონში **კახაბერ სუხიტაშვილი** გვეუბნება, რომ გახშირებული წყალმოვარდნები მდინარეებში ტყეების მასობრივმა ჭრამ და ხევების ნაშალისგან გაუწმენდაობამ გამოიწვია.

მდინარე დურუჯი რომ საფრთხეს ქმნის, ამის შესახებ ღიად ლპარაკობენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ოთარ ბუჯიაშვილი** გვეუბნება, რომ, სულ ცოტა, 2 მილიონ-ნახევარია საჭირო, რომ მასშტაბური სამუშაოები დაიწყონ.

კახაბერ სუხიტაშვილის თქმით, ვიდრე საბჭოთა კავშირი არსებობდა, მდინარეთა კალაპოტები მუდმივად იწმინდებოდა ქვა-ღორღისგან და საფრთხეც მოხსნილი იყო. „ახლა კი ამ ფუნქციას მხოლოდ ქვის სამტვრევი საამქროები ასრულებს, რაც არასაკმარისია“. სუხიტაშვილისავე თქმით, დურუჯის შემდეგ კახეთში ყველაზე არაპროგნოზირებად მდინარედ მიიჩნევა კაბალი.



არის თუ არა საჭირო მდინარე კაბალის კალაპოტიდან ნაშალის გატანა, ჯერ არ იცის ლაგოდეხის გამგებელმა **კახა ჯამბურიამ.** ის ამბობს, რომ ასეთი დასკვნა ექსპერტებმა ვითარების შესწავლის საფუძველზე უნდა მოამზადონ. რაც შეეხება ასევე ღვარცოფულ და საშიშ მდინარეებს, ლაგოდეხის და შრომის ხევებს, გამგებლის თქმით, **„უკვე შესწავლილი და გადაწყვეტილია, რომ ამ მდინარეთა კალაპოტები ნაშალისგან გაიწმინდოს“.**

კახეთის რეგიონში მხოლოდ დურუჯი და კაბალი არ ქმნიან ეკოლოგიურ საფრთხეს. სპეციალისტები ამბობენ, რომ მეტ-ნაკლებად ყველა მდინარე, რომელიც სათავეს მთაში იღებს, საშიშია და მუდმივ მონიტორინგს საჭიროებს. ეკოლოგები მთავრობას მოუწოდებენ, რომ საფრთხეების შესამცირებლად ტყეების ხელოვნურად განაშენიანების პროექტები განახორციელონ.

გიორგი ალადაშვილი

დევნილ ოჯახებს წყლის პრობლემას მოუგვარებენ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა გიორგი კობერიძემ ადგილობრივ თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ზუგდიდში წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

წყალმომარაგების კომპანიამ თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრები 320 დევნილი ოჯახის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს ახალი ჭაბურღილის მოწყობას, რის შემდეგაც იძულებით გადაადგილებულ პირები 24-საათიანი წყალმომარაგებით და ხარისხიანი წყლით იქნებიან უზრუნველყოფილი.

გიორგი კობერიძე თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრებთა პრობლემას სასმელ წყალთან დაკავშირებით, რამდენიმე კვირის წინ გაეცნო და დევნილ მოსახლეობას დახმარება აღუთქვა.

უსაჯეთ სამართალი მართალი

მას შემდეგ, რაც მოაზროვნე ადამიანი გაჩნდა, საზოგადოებაში სამართლის დამკვიდრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სამართლიანობის მოთხოვნა ადამიანის გენეტიკურ თვისებად იქცა. ამიტომ, სახელმწიფოს მესვეურები კარგად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ საზოგადოება მაშინ იქნება ძლიერი, წარმატებული, თუ მის მოქალაქეებს კანონის უზენაესობის რწმენა განუმტკიცდებათ. ეს არის მოცემულობა, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგანაც ადამიანებს დაბადებიდან გარდაცვალებამდე სამართალდამცავებთან უხდებათ კონტაქტი და, ბუნებრივია, მათი კარგი თუ ცუდი მუშაობა თითოეული მათგანის შეგნებაში აირეკლება. ამიტომ მოუწოდებდა ეკლესია მეფე დავით ულუს, საეკლესიო მიწების ჩამორთმევის გამო საპროტესტო მიმართვაში „უსაჯეთ სამართალი მართალი“. საერთოდ, როდესაც მემატიანე ქართველი მეფეების ან სახელმწიფო დიდმოხელეების დადებით თვისებებს ჩამოთვლის „კარგი მოისარი“, „უმანკო“, „წრფელი“ და ა.შ. თითქმის ყოველთვის აღნიშნავს „სამართლის მოქმედი“. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ წინასაარჩევნო კამპანიების დროს, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატები, ხალხს ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრებას ჰპირდებიან.

ერთია ქვეყანაში მართალი სამართლის დამკვიდრების სურვილი, სწრაფვა, მაგრამ იმის ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ ადამიანთა ეს სანუკვარი ოცნება ადვილი განსახორციელებელია. იმპერატორი ოქტავიანუს ავგუსტუსი ამბობდა: „მე უნდა აღვადგინო წინაპართა ადათ-წესები, ძველი რომის სიქველენი: ვაჟკაცობა, რწმენა... და განსაკუთრებით აღნიშნავდა სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობას, ე.ი. საზოგადოებაში სამართლის დამკვიდრების პრობლემა მაშინაც არსებობდა. ამიტომ, მსოფლიო ისტორიაში უამრავი ფაქტი მოიპოვება იმისა, რომ „მართალი სამართლის“ დამკვიდრებისთვის არაერთი აჯანყება, რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება მომხდარა.

თანამედროვე მსოფლიოშიც ეს პრობლემა გადაუჭრელია და იარსებებს, სანამ დედამიწაზე სოციალური უთანასწორობა იქნება. სოციალური თანასწორობა, „ოქროს ხანა“ კი კაცობრიობის ისტორიის განვლილი ეტაპია, რომელიც არასოდეს არ განმეორდება. ასეთი პესიმისტური პერსპექტივა იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ სიმართლის დამკვიდრებისათვის, სამართლიანი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაზე უარი ვთქვათ.

ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც, სხვა მოთხოვნებთან ერთად, აღიარებს კანონის უზენაესობას, იცავს საკუთარი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს. სამართლიანობის დამკვიდრების მოთხოვნა ბევრი სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი მოთხოვნაა და თუ გვინდა გავხდეთ ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილი, ჩვენს სახელმწიფოში დავნერგოთ და დავამკვიდროთ „ევროპული ფასეულობები“, ამისათვის განსაკუთრებული ძალისხმევა გვმართებს. განსაკუთრებულიო, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ იმ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენ მივიღეთ საბჭოთა ხელისუფლებისგან, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები პარტიის მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ და შემდეგ სააკაშვილის რეჟიმისაგან, როდესაც კანონი და კანონიერება საერთოდ უგულებელყოფილი იყო. თუნდაც ის ფაქტი, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ, 25 000 საჩივარი დაიწერა სამართლის აღსადგენად, ბევრისმეტყველია. არჩევნების შედეგად, სახელმწიფოს სათავეში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული სამუშაოები ჩაატარა ქვეყანაში კანონიერების დამკვიდრებისათვის, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს ღონისძიებები არასაკმარისია.

„კადრები წყვეტენ ყველაფერს“, ეს ლოზუნგი ახლაც აქტუალურია, განსაკუთრებით, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთათვის. ყველაზე კარგი კანონებიც კი არ შესრულდება უღირსი, უვიცი და დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი ადამიანების მიერ. როდესაც შენ, ვისგანაც სამართალს ელიან, აშკარა დამნაშავეს მფარველობ და მის ნაცვლად სრულიად უდანაშაულო ადამიანს სჯი, ამით ძირს უთხრი იმ ხელისუფლებას, რომელმაც აგამაღლა, კაცად გაქცია, მთელი რიგი პრივილეგიები მოგცა. ამიტომ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი ამ პირთა მიმართ უფრო მკაცრი უნდა იყოს.

ამბობენ, თუ სახელმწიფო ხელისუფლება მოხელეებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების უფლებას მისცემს, ხოლო შემდეგ ასეთი ქმედებისთვის წინააღმდეგობის გაწევას ნორმალურად ჩათვლის, ეს მის (სახელმწიფოს) ავტორიტეტს შეარყევსო. ეს არ არის სწორი, იმიტომ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ღირსება, პირიქით, ამით მოიგებს, თუ იგი მტკიცედ დაიცავს კანონის მოთხოვნებს და თანაბრად მიუდგება კანონდამრღვევებს მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად.

ახლა, საქართველოში, ალბათ, არ არის იმის ფაქტი, რომ დანაშაულის გამოძიების პროცედურული მოთხოვნების დარღვევისათვის რომელიმე სამართალდამცველი დასჯილიყოს (ღმერთმა ქნას ვცდებოდე). კანონის შეგნებული თუ შეუგნებელი დარღვევის გამართლებისათვის, „მუნდირის ღირსების“ დაცვისათვის, მთელი სისტემა დაირაზმება, ივიწყებენ ციცერონის ნათქვამს: „თავიანთ შეცდომებს ბოლომდე მხოლოდ გიუები იცავენ“.

„ძველი კადრებით, სამართლიანობის ახალი კრიტერიუმებით დამკვიდრება, ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ამიტომ, რევოლუციების გზით სახელმწიფოს სათავეში მოსული მთავრობები ამ კადრებისგან თავისუფლდებოდნენ და ახალ, თუნდაც გამოუცდელ, სათანადო პროფესიონალიზმის უქონელ ადამიანებს იწვევდნენ სამუშაოდ.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე, მილიციის ძველი კადრები სამსახურიდან დაითხოვეს, რამაც ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება გააუარესა. გლეხს ბაზარში გასაყიდად ვერ გაჰქონდა სასოფლო-სამეურნეო საქონელი, რადგან ნავაჭრ თანხას გზებზე ჩასაფრებული ყაჩაღები ართმევდნენ. ქუთაისში და მის შემოგარენში ისე გამწვავდა ვითარება, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისათვის ეთხოვა ნებართვა, რათა მათთვის ხელშეკრულებით (და არა შტატში) მოეწვიათ სამუშოდ რამდენიმე ძველი, გამოცდილი მილიციელი. მათ ასეთი ნებართვა მიიღეს და სულ რაღაც ორ თვეში, ათზე ცოტა მეტმა გამოცდილმა მილიციელმა გზებზე ყაჩაღობა აღკვეთა. აი, ასეთი მნიშვნელოვანია პოლიციაში გამოცდილების მქონე ადამიანების დასაქმება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალმა ხელისუფლებამ ისინი სამუშაოდან მაინც დაითხოვა.

ახალგაზრდა კადრებით ძველების ჩანაცვლებას შეიძლება გარკვეული დადებითი შედეგები მოჰყვეს, მაგრამ არა მგონია, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ძველებს, ყველას ერთი არშინით ნუ გავზომავთ. მათ შორის ბევრი კარგი პროფესიონალი და ღირსეული პიროვნებაა. ახალგაზრდებს თუ სათანადო მომზადება არ ექნებათ (უცხოეთის გამოცდილება, ძიების მოწინავე ტექნიკისა და მეთოდების ცოდნა და ა.შ.), თუ ისინი ძველების დიქტატით და მითითებებით გაგრძელებენ საქმიანობას, თუ ნებისმიერი გზებით შეეცდებიან ბრალდებულის დანაშაულში მხილებას და ამ გზით მოინდომებენ კარიერის მაღალ საფეხურებზე ასვლას, მაშინ, შეიძლება, ამას უფრო სავალალო შედეგები მოჰყვეს — პერსპექტივაშიც ვერ დავინახოთ შუქი გვირაბის ბოლოს.

თანამდებობაზე დანიშვნისას, პირადი სიმპათიები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი (რადგან ამის სრულად იგნორირება შეუძლებელია), არც პოლიტიკური შეხედულებებს არ უნდა მიექცეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ადამიანებზე კონტროლი ყოველთვის შეიძლება. თანამდებობებზე დაწინაურება პიროვნების მუშაობის შედეგების მიხედვით უნდა ხდებოდეს. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე უინსტონ ჩერჩილი თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე სამჯერ იყო არჩეული პრემიერ-მინისტრის პოსტზე, მინისტრად კი უამრავჯერ — თითქმის ყველა სამინისტროს ედგა სათავეში და წარმატებით ხელმძღვანელობდა მათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა. ამ თანამდებობებზე გამოჩენილი არაპროფესიონალიზმის გამო, ინგლისურმა პრესამ იგი სასაცილოდ აიგდო. ნაპოლეონმა ცნობილ დიპლომატს — ტალეირანს რამდენჯერმე შეურაცხყოფა საჯაროდ მიაყენა, რადგან მას საფუძვლიანი ეჭვი ჰქონდა მისი არაკეთილსინდისიერების შესახებ (შემჩნეული იყო მექრთამეობაში, სახელმწიფო ინტერესების ღალატში), მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან იგი მაინც არ გაათავისუფლა იმიტომ, რომ მისი შემცვლელი არ ეგულებოდა. და, მართლაც, ტალეირანმა, 1815 წელს, ვენის კონგრესზე, დამარცხებული საფრანგეთი ხუთი დიდი სახელმწიფოს სიაში შეიყვანა, არც ტერიტორიები დაუკარგავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული გენერალური ინსპექცია თავის ფუნქციას სათანადოდ ვერ ასრულებს. ამაზე მეტყველებენ ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული მასალები და სატელევიზიო გადაცემები. ამიტომ შსს-დან უშიშროების სამსახურის გამოყოფა სწორი გადაწყვეტილებაა. კარგი იქნება, თუ ამ ორგანოს მიეცემა შს სამინისტროსა და პროკურატურაზე კონტროლის უფლება. უშიშროების სამსახური უნდა იყოს ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი, რომელიც მას მიაწოდებს ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ მართალ, უტყუარ ინფორმაციას და კანონის ფარგლებში განახორციელებს ღონისძიებებს ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ. ამიტომ, ამ სამსახურის მუშაკებს იდეოლოგიური მხარდაჭერა სჭირდებათ და სათანადო საყოფაცხოვრებო პირობებიც უნდა შევუქმნათ: მათ უნდა მივცეთ მაღალი ხელფასები, მისი ოჯახის წევრები უნდა ამაყობდნენ იმით, რომ მისი წევრი უშიშროებაში მუშაობს და ა.შ.

მართალი სიმართლის განხორციელებაში დიდი როლი ენიჭება სახალხო დამცველის — ომბუდსმენის აპარატს. ადამიანები მასში უნდა ხედავდნენ თავისი ინტერესების ერთგულ დამცველს და ქომაგს. ვერც ეს დაწესებულება ანხორციელებს სათანადოდ მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ომბუდსმენი მხოლოდ მაშინ გამოდის საჯარო განცხადებით, როდესაც საქმე რეზონანსულია, როდესაც ტელევიზიით გამოსვლის, ე.ი. თავის გამოჩენის საშუალება ეძლევა. ჩვენებიანთ კიკოლას სატკივარი სულ არ აწუხებთ. ამიტომ არის, რომ ომბუდსმენის აპარატის მისაღები, თითქმის ყოველთვის თავისუფალია, ხალხს არ სჯერა, რომ ამ აპარატის თანამშრომლები მის ინტერესებს დაიცავენ.

ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზიები, რომ სამართალდამცავ ორგანოებში კანონდარღვევები ერთი ხელის დარტყმით სრულიად გამოსწორდება, მაგრამ მათ საქმიანობაზე კონტროლის გამკაცრება და დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სათანადოდ დასჯა, აუცილებელია. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ის ფაქტი, რომ მოსამართლის სკამის საზურგეზე სახელმწიფო გერბია გამოსახული, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსამართლე სახელმწიფოს სახელით გელაპარაკება. აქედან, ბუნებრივია, დასკვნა: როგორიცაა სახელმწიფო, სამართალიც ისეთია. ამიტომ, მართლმსაჯულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. უსაჯეთ სამართალი მართალი.

ვაჟა თვალავაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ელისო კილაძეს ეთიკის ქარტიაში უჩივიან

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ელისო კილაძეს ეთიკის ქარტიაში უჩივლა.

როგორც სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, გაზეთ „ქრონიკა პლუსის“ ბოლო ნომერში ჟურნალისტი ელისო კილაძე მიზანმიმართულად ავრცელებს ცრუ, ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულ ინფორმაციას და ცდილობს, შელახოს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ლევან შონიას საქმიანი იმიჯი და რეპუტაცია.

„მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს არის მიზანმიმართული სიცრუე, რის გავრცელებასაც გარკვეული პოლიტიკური ძალები წინასაარჩევნოდ ახდენენ.

ელისო კილაძე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს ცრუ ბრალდებებს მიზანმიმართულად უყენებს, კილაძე მკითხველს არ აწვდის სწორ ინფორმაციას, არ გამოიკვლია ჭეშმარიტება, არც კი უცდია სიმართლის დადგენა და ენდო ერთ ინკოგნიტო წყაროს. მას არ დაურეკავს არც გუბერნატორთან და არც მის პრესსამსახურში, რათა დაკავშირებოდა მეორე მხარეს და მისგან მიეღო ინფორმაცია. ელისო კილაძემ არ გადაამოწმა ფაქტები, რათა გაზეთში დაბეჭდილიყო ზუსტი ინფორმაცია. მეტიც, მან საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, განზრახ დაამახინჯა ფაქტები, მოიგონა სხვადასხვა ცრუ ინფორმაცია და საზოგადოებას მცდარი ინფორმაციის ნამდვილობაში არწმუნებდა.

მიგვაჩნია, რომ ელისო კილაძემ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკა და სტანდარტები, შესაბამისად განცხადებით უკვე მივმართეთ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, რადგან მიგვაჩნია, რომ დაირღვა ქარტიის პირველი მუხლი „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას — მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“ და ქარტიის მეთერთმეტე მუხლი „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს ფაქტის განზრახ დამახინჯება“, — ნათქვამია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პრესსამსახურის განცხადებაში.

ამ რომანის დროც დადგება

ნიკოლოზ გაბაონის „აივნიანი ქალაქი“

XX საუკუნის 70-იანი წლების პუბლიკაციებზე საუბრისას ხშირად გაიგონებთ ერთი რომანის სახელწოდებას, გაგრძელებებით რომ იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ და იმთავითვე მიიპყრო მაშინდელი მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

უკვე ცნობილმა მეცნიერმა ვალერიან გაბაშვილმა ეს რომანი ნიკოლოზ გაბაონის სახელით გამოაქვეყნა; ფსევდონიმით იმიტომ, რომ არ იცოდა, როგორ შეხვდებოდა საზოგადოება სახელოვანი მკვლევარის მიერ ძალების მოსინჯვას მხატვრულ ლიტერატურაში და არ სურდა, რამე ჩრდილი მისდგომოდა უკვე მოპოვებულ სახელს.

მერე გამოიცა კიდეც — ერთხელ, მეორედ... ამ ბოლო ხანსაც. აღიარებაც მოჰყვა, თუმცა, ის შეფასება, რასაც იმსახურებდა, მაინც არ ერგო.

და აი, ათეული წლების შემდეგ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში სწორედ ამ რომანის **„აივნიანი ქალაქი“** განხილვა გაიმართა **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების,** იმავე ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** თაოსნობით.

შეხვედრაზე **როსტომ ჩხეიძემ** აკაკი ბაქრაძის წერილიც „და დამრჩა სევდა...“ შეახსენა შეკრებილებს ამ რომანის შესახებ — თავისთავად მნიშვნელოვანი, თუმცა მაინცდამაინც რომ არ განეკუთვნებოდა მის წარმატებულ ნარკვევთა ციკლს, რაკი მსჯელობაში ბევრი რამ იყო სინამდვილეს აცდენილი და ჯეროვან შეფასებას მოკლებული.

ხანი კი გავიდა... და როგორც დროს სჩვევია, ჭეშმარიტსა და ღირებულს კიდევ უფრო მეტი ფასი შესძინა, მეტადაც გაათვალსაჩინოვა, გამოკვეთა და წამოწია მისი მნიშვნელობა.

როსტომ ჩხეიძის თქმით, ეს არის რეალიზმის გამორჩეული ნიმუში, თავისებურ დეტექტივადაც რომ წარმოგვიდგება და სოციალურ-ყოფით რომანადაც, სადაც მე-19 საუკუნის რეალობაა აღდგენილი ზედმიწევნითი სიზუსტით, თავბრუდამხვევი სტილური მანერით და საგულისხმო სიუჟეტური წიაღსვლებით.



ამ ყველაფერს კი განსაზღვრავს დიდი ერუდიცია, რომელიც ეყრდნობა გადმოცემებსაც, არქივებსაც და არანაკლებ ინტუიციასაც, ასე რომ სჭირდება მწერალს მხატვრულ ოსტატობასთან ერთად. შედეგად კი გასული საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ ისტორიული მნიშვნელობის გამორჩეული მხატვრული თხზულება შეიძინა, გამოკვეთილი ხასიათებით, სიუჟეტური ნაკადებით,



მრავალპლანიანობით, მითუმეტეს, რომ მასში მოთხრობილი ამბები სცდება საქართველოს ფარგლებს და ექსპრესიულ თხრობაში ევროპული ცხოვრების მდინარებაც შემოდის.

ამ რომანის კიდევ ერთი ასპექტი კი მისი კინემატოგრაფიულობაა — ეს არის გამზადებული სცენარი, რომელსაც მხოლოდ კარგი რეჟისორი და მსახიობები სჭირდება. კიდეც ჰქონია გადაწყვეტილი **ლაშა კოტრიკაძეს** მრავალსერიანი ფილმის გადაღება, თუმცა ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა.

ბატონმა როსტომმა საგანგებოდ გაიხსენა ვალერიან გაბაშვილის მოგონება ივანე ჯავახიშვილზე, როგორც მემუარული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუში.

მომხსენებელმა **ნინო ვახანიამ** ვრცლად და საინტერესოდ შეაფასა „აივნიანი ქალაქი“ და დაუდასტურა ბატონ როსტომს, რომ ეს არის კლასიკური რეალისტური რომანი.

მისი თქმით, საერთოდ რომანი თითქოს უფრო რაინდთა ცხოვრებას შეეფერება და ნაკლებად — ვაჭრებისას. აქ კი სწორედ ვაჭრის თავგადასავალია მოთხრობილი და ამ თავგადასავალს არ აკლია არც დრამატიზმი, არც სატრფიალო-რომანტიკული ეპიზოდები, არც მოგზაურობა, არც ინტრიგული ხლართები, არც ფარული ბრძოლები, არც ფონად საზოგადოებრივი ყოფის ასახვა, არც ოპტიმისტური დასასრული. ერთი სიტყვით, რომანის ჟანრის კანონების სრული დაცვით დაწერილი ნაწარმოებია.

— 1832 წელი ერთ-ერთ თემად შემოდის რომანში. ზოგჯერ რამდენიმე მინიშნება (მეტს, როგორც ჩანს, ცენზურა არ დაანებებდა) ისე საგულისხმოდ ხატავს საიდუმლო სამზადისის არსებით შტრიხებს, რომ საკითხში სულ ოდნავ მაინც გარკვეულ მკითხველს შეთქმულების მასშტაბურ პანორამასაც გადაუშლის თვალწინ. საერთოდ, რომანში ისტორიული ფონი რეალისტურია და ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ მხოლოდ დეტალების სიზუსტეს, არამედ ზოგადად, ერთიანობაში, ასე ვთქვათ „ისტორიის სულსაც“ — ტენდენციებს, ხასიათებს, ინტერესებს, დამოკიდებულებებს, სიახლეებს, ღირებულებებსა და სხვა. თხზულება ე.წ. „ქალაქური პროზის“ საუკეთესო ნიმუშია, — აღნიშნა ქალბატონმა ნინომ.

მისი თქმით, მთელ ნაწარმოებში იგრძნობა ძველი თბილისის განსაკუთრებული სიყვარული, გარდასულის ნოსტალგია. XX საუკუნეში თითქოს საგანგებოდ იმიტომაც იწერება, რომ ავტორმა მკვეთრად იბრუნოს პირი თანამედროვეობისაგან და მშობლიურ გარემოში, XIX საუკუნეში აღმოჩნდეს.

ეს საუკუნე კი მისთვის მართლაც მშობლიური და ძვირფასია, ყველაფერს აზის როგორც სიყვარულის, ისე ცოდნის, საგულდაგულოდ შესწავლილი არქივების ტვიფარი.

თავბრუდამხვევი ამბები გადმოცემულია საუკეთესო ქართულით. ნაჩვენებია, რომ ქონებრივი და სულიერი საჭიროებანი ერთმანეთს უნდა მსჭვალავდეს და ეხმარებოდეს. მხოლოდ ასე შევძლებთ ჩვენი გამორჩეულობის, ჩვენი თავის, ჩვენი აივნიანი ქალაქის შენარჩუნებას.

წიგნის ამ და სხვა ასპექტების შესახებ ჩვეული პროფესიონალიზმით ისაუბრეს შეხვედრაზე გამომსვლელებმა: **ნანა კუციამ, მაკა ჯოხაძემ, მარინა ტურავამ** და **თამარელა წოწორიამ.**

შეხვედრის დასასრულ შეკრებილებს ვალერიან გაბაშვილის ქალიშვილმა **მანანა გაბაშვილმაც** მიმართა და მადლობა გადაუხადა მათ არამარტო მამის ასეთი დაფასებისათვის, არამედ „აივნიანი ქალაქის“ გამოწვლილვითი ანალიზისათვის, ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ ერთბაშად ამდენი ჩინებული ნიმუში რომ შეიძინა.

როსტომ ჩხეიძემ კი აღნიშნა, რომ ეს არის რომანი, რომელსაც შესაბამისი გაგრძელება ჯერ კიდევ სჭირდება, ამიტომაც შეკრებილებს მოუწოდა, ეს დღე ეგულისხმათ არა მხოლოდ გახსენებად მრავალმხრივ საგულისხმო წიგნისა და მისი ავტორისა, არამედ დასაწყისად მისი გატანისა და ღირსეული დამკვიდრებისა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რაკიღა თუ რამე შეიქმნა XX საუკუნის ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი, ერთ-ერთი მარგალიტი უდავოდ „აივნიანი ქალაქიც“ არის.

გრიგოლ ერისთავი,
„მედიანიუსი“



დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი

XX საუკუნის 30-იანი წლების დიდი ტერორი დღემდე სერიოზული განსჯის საგანია, საზოგადოება ინტერესით ელის ყოველ ახალ ცნობასა თუ დოკუმენტს.

ფართო მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ციციშვილი აღნიშნულ თემაზე ღრმა სამეცნიერო ნაშრომებით. ბატონ გიორგის 20-30-წლების ტერორზე არაერთი სქელტანიანი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული და სამართლიანად ითვლება ავტორიტეტად.

ახლახან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა მეცნიერის ახალი ნაშრომი „დიდი ტერორი და ივანე ჯავახიშვილი“.

წიგნში მოთხრობილია თუ რა პერიპეტიები გადახდათ თავს ივანე ჯავახიშვილსა და მის თანამოაზრეებს 1937-1938 წლების საყოველთაო ტერორის დროს, გაშუქებულია ჩეკისტების მიერ შეთითხნილი მომაკვდინებელი ბრალდებები, რომლებიც პირველად ქვეყნდება. მათი გათვალისწინებით გაანალიზებულია ივანე ჯავახიშვილისა და მის მიმდევართა სახელმწიფოებრივი დევნის ნამდვილი მიზეზი, მათი სამეცნიერო-პედაგოგიური და პოლიტიკური ცხოვრების ისტორია, როგორც სამშობლოსათვის თავდადების საუკეთესო მაგალითი.

წიგნი სამი თავისგან შედგება: I — 1937-1938 წლების დიდი ტერორი, II — მეგარჯვენე პროფესორთა ჩეკისტური ბრალდებების სათავეები, III — რატომ ებრძოდა ხელისუფლება და ჩეკა ივანე ჯავახიშვილსა და მის თანამოაზრეებს.

წიგნს ახლავს გამოყენებული ლიტერატურისა და საარქივო წყაროების ვრცელი ნუსხა.

წიგნის რედაქტორია პროფესორი მერაბ ვაჩნაძე, რეცენზენტი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ წოწკოლაური.

წიგნი ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის 140 წლის იუბილეს, იგი უდავოდ დაინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე მკითხველთა ფართო წრეს.

სანდრო ალექსიძე

ინდური ისტორიული დრამის გადაღებები იწყება!

საქართველო, როგორც კინოგადაღების მოედანი უფრო და უფრო აქტუალური და დატვირთული ხდება. კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში კიდევ ერთი, მეოთხე ახალი პროექტი განხორციელდება და ინდური ისტორიული დრამის გადაღებები საქართველოში დღეიდან დაიწყება.

პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ მხარდაჭერით ინდური და ბერძნული საბრძოლო ხელოვნების ამსახველი კადრების გადაღებები დაგეგმილია საქართველოს მთიან რეგიონებში, ინდური ისტორიული დრამის კადრებში მაღალმთიანი ლოკაციები მოხვდება. ახალ პროექტში „Gautamiputra Satakarni“, რომელიც პროგრამის ფარგლებში ე.წ cash rebate მექანიზმით სარგებლოს და კვალიფიციური ხარჯების 20-25 %-მდე უკან დაბრუნებას შეძლებს, ჩართული იქნება 400-მდე მსახიობი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამას „გადაიღე საქართველოში“ ამოქმედებიდან მცირე პერიოდში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოში, რომელიც ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, ჯამში შემოვიდა 4 განაცხადი, საიდანაც გადაღებები უკვე დასრულებულია 1 ფილმზე, 2 ფილმზე მიმდინარეობს გადაღებები და 1 ფილმი მალე დაიწყება. აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად საქართველოში ჯამში 5 700 000 ლარამდე თანხა დაიხარჯება. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ამჟამად სხვადასხვა საერთაშორისო პროდიუსერთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები დამატებით რამდენიმე ფილმის გადაღებებზე.

ქართული ფილმი ამერიკულ კინოფესტივალზეა წარდგენილი

ვახო ჯაჯანიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გამოსვლა“ დამოუკიდებელი ამერიკული კინოს ერთ-ერთ საუკეთესო ფესტივალზე Maine International Film Festival მიიღებს მონაწილეობას. ფილმს საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების სექციაში (World Shorts) აჩვენებენ.

ვახო ჯაჯანიძის „გამოსვლა“ დაცარიელებულ ქალაქ ჭიათურაში, პატარა სახლში მცხოვრები ორი დის, ტატიანასა და ლილის შესახებ მოგვითხრობს. გადარჩენისთვის ყოველდღიური ბრძოლით დაღლილ დებს შორის კონფლიქტი მაშინ იწყება, როცა ლილის „ჭაობიდან“ თავის დაღწევისა და თავის ქალიშვილთან საცხოვრებლად გადასვლის შანსი უჩნდება.

„გამოსვლა“ იმ 6 მოკლემეტრაჟიან ფილმებს შორის ერთ-ერთია, რომელიც ეროვნული კინოცენტრისა და თიბისი ბანკის დაფინანსებით შეიქმნა. ეს იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც ქვეყანაში კინემატოგრაფიის განვითარების მიზნით სახელმწიფო სუბსიდიასთან ერთად კინოწარმოებაში კერძო ბიზნესი ჩაერთო.

ფილმის პრემიერა 2015 წლის ივლისში შედგა და მას შემდეგ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზიც მოიპოვა.

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება

ვიოლინი ეგნატაშვილის მოგონებები

(ჩაიწერა ვ.მ. ლოგინოვმა)

ლავრენტი ბერია და კლიმენტი ვოროშილოვი

ვოროშილოვი

ვოროშილოვი ძალიან გულღია ადამიანი იყო, მე რატომღაც ძალიან ვუყვარდი და ძალიან დიდხანს და ბევრს მესაუბრებოდა.

— და დაცვაც მაგ დღეში იყო?

— რა თქმა უნდა, დაცვაც ამ დღეში იყო. თუ შვერნიკი და ვოროშილოვი ოცდახუთ კილომეტრს გადიოდნენ, ჩვენ ოცდაათ კილომეტრს გავდიოდით... ვოროშილოვი საინტერესო ადამიანი იყო, უკრაინულ ენაზე შევჩენკოს ზეპირად კითხულობდა. მართალია, უკრაინული ენა არ ვიცი, მაგრამ ისე კითხულობდა, თვალებიდან სულ ცრემლები მდიოდა... ძალიან ნიჭიერი ადამიანი გახლდათ. მახსოვს მასთან ერთი მეტად საინტერესო ამბავი გადამხდა. მივდივართ ადლერის მხარეს, რაღაც მანძილი რომ გავიარეთ, მაცეტისკენ გავიხედეთ და ვხედავთ, რაღაც ხეობა ჩაუდის. ჯერ მე მკითხა ვოროშილოვმა, აი, იქ რა ხეობააო? მერე თავის დაცვის უფროსს ეკითხება. „ეგ მაცესტაა, ამხანაგო მარშალო“, — უპასუხებს დაცვის უფროსი. ვოროშილოვმა ისევ იმ მხარეს გაიხედა, ისევ მე შემომხედა და ისევ მეკითხება: „შენ ხომ კავკასიელი ხარ, შენ რას ფიქრობ?“ „არა, ეს მაცესტა არ არის, მაცესტა უფრო იქით უნდა იყოს“... „ჰმ, მე კი ვფიქრობ, მაცესტაა“, — თქვა ვოროშილოვმა და ახლა გრუზდევს შეხედა — გრუზდევი სოჭში დაცვის უფროსად მუშაობდა, იცავდა დასასვენებლად ჩამოსულ პოლიტბიუროს წევრებს... „როგორ ფიქრობ, — ეკითხება ვოროშილოვი გრუზდევს, — აი, ის რა ხეობაა? „მაცესტაა, ამხანაგო მარშალო“. ვოროშილოვმა ისევ მე შემომხედა — „ახლა რაღას იტყვი?“ „არა, ეს მაცესტა არ არის“... „მაშინ წავიდეთ იმ მხარეს!“... და წავედით.

ვოროშილოვს ბზისგან გათლილი ჯოხი უჭირავს, მე ბამბუკის. მივაბიჯებ ნამდვილი ტურისტივით... „არც ახლა შეიცვალე აზრი? — მეკითხება ვოროშილოვი. „არა, ეს მაცესტა არ არის“, — ვიმეორებ ჯიუტად. მოდი დავნაძლევდეთ, — ამბობს მარშალი — თუ ეს მაცესტაა, აი, ამ ჯოხით გვერდებს აგიჭრელებ, ხოლო — თუ მაცესტა არ არის, მაშინ მართალი იქნები და შენ ამიჭრელებ ზურგს მაგ ჯოხით“. კარგი-მეთქი, სხვა აბა, რა უნდა მეთქვა... მივედით — აღმოჩნდა, რომ ის მაცესტა არ იყო.. გრუზდევმა აღიარა, რომ მართალი ვიყავი, რომ ეს ნამდვილად მაცესტა არ იყო. ვოროშილოვი ჩემკენ შემობრუნდა. დაიხარა და მეუბნება: „მოდი, დამარტყი!“ ჩემი ჯოხი ავიღე, ხრამში ვისროლე და ვეუბნები: „რით? ჯოხი აღარა მაქვს!“ აი, ჩემი ჯოხი, ჩემით დამარტყიო, — მეუბნება. ჩვენ ხომ შევთანხმდით, თქვენ თქვენი ჯოხით უნდა გერტყათ, მე ჩემი ჯოხითმეთქი... მოკლედ, ასე იყო...

გზა რომ განვაგრძეთ, გზად მატროსი შეგვხვდა და საუბარი დაგვიწყო, მაგრამ ვერც შვერნიკი იცნო, ვერც ვოროშილოვი. ჩვენ არწივები ვართ ეუბნება ვოროშილოვი. „თქვენ დამდვილი არწივები კი არა, ის არწივები ხართ, ვისაც კუდიდან ყველა ბუმბული დააძრეს“, — ეუბნება მატროსი. იცინის ვოროშილოვი, იცინის შვერნიკიც. ამის შემდეგ კრემლში რომ შეხვდებოდნენ, — შვერნიკ, გაიხსენე როგორი არწივი ხარ, — ეტყოდა ვოროშილოვი.

ბერია

— მაინც რამდენი ადამიანი იცავდა სტალინს? ვლასიკს რამდენი თანამშრომელი ჰყავდა დაცვაში?

— არ ვიცი, მაგრამ, რომც ვიცოდე, არ გეტყოდით.

— თქვენ? თქვენი რამდენი გყავდათ?

— არც ამას გეტყვით, თუმცა, საკმარისი იყო იმისათვის, რათა დაცვა უზრუნველგვეყო...

— გიორგი ალექსანდრეს-ძევ, ბერიას შესახებ კეთილი სიტყვა ერთ ადამიანსაც არ უთქვამს, მაშინ რატომ იყო ასე დიდხანს სტალინის გარემოცვაში?

— ფრანგულ ლიტერატურას თუ გადახედავთ, კარგი არც ფუშესა და ტალეირანზეა რაიმე ნათქვამი, მაგრამ ნაპოლეონი იძულებული იყო, გვერდით ჰყოლოდა ერთიცა და მეორეც, ვინაიდან სახელმწიფოს ასეთებიც სჭირდება. ბერია საქმიანი კაცი გახლდათ, პასუხისმგებელი და ძლიერი მუშაკი. საქმის გაკეთება რის ფასად შეეძლო, ეს სხვა საქმეა, მაგრამ რასაც დაავალებდნენ, ჩინებულად ასრულებდა.

მაგალითად, ავიღოთ შვერნიკი, უკეთილშობილესი ადამიანია, მაგრამ საქმეში ბერია და ის სრულიად განსხვავებულები არიან. შვერნიკის აზრით, ყველა დავალება უნდა შეასრულო, ოღონდ ისე, რომ არავის ავნო. ბერიასთვის კი სულ ერთი იყო, ვინ დაზიანდებოდა და ვინ რა დღეში აღმოჩნდებოდა, მთავარი იყო მინდობილი საქმე კარგად შეესრულებინა, ამიტომაც მას ზუსტად იმ საქმეებს ავალებდნენ, რაც ქვეყნისთვის იყო საჭირო...

— მთავარია, ატომური ბომბი სახეზეა.

— დიახ, ეგ საქმე მისი გაკეთებულია. მაგრამ, შვერნიკი ამას ვერ გააკეთებდა.. რას იზამ, ცხოვრება რთული და წინააღმდეგობრივია... ზოგჯერ სიკეთე ბოროტებად შემოგვიბრუნდება და, პირიქით, ბოროტება სიკეთედ.

შვერნიკი

მახსოვს, შვერნიკი როგორ ამზადებდა მოხსენებას თანაშემწეებთან ერთად, — გამოიძახებდა თანაშემწეს და აუხსნიდა, რა უნდა გაეკეთებინა. მიუთითებდა მიმართულებას, აუხსნიდა, რაზე გაემახვილებინა ყურადღება და

დასაწყისი იხ. № 65-79, 83, 86-87, 90, 95, 99, 103, 108, 113, 120

როგორ ეთქვა, მერე წავიდოდა ის კაცი, დალევდა მაგარ ყავას, იჯდა მთელი ღამე და წერდა. ბოლოს მოიტანდა იმ მასალას შვერნიკთან, დასხდებოდნენ ორივენი, ისხდნენ მთელი საათობით, რის შემდეგაც მასალა სრულიად განსხვავებულ სახეს იღებდა და ისევ მიუტრიალდებოდა შესწორებულ მოხსენებას თანაშემწე, ვიდრე ის საბოლოო სახეს არ მიიღებდა. ბოლოს ისევ ჩაუჯდებოდა შვერნიკი და თანაშემწის ნამუშევრიდან თითქმის აღარაფერი რჩებოდა — გარდა იმისა, რომ ძალიან ბევრს მუშაობდა, საოცარი ადამიანი იყო, მუშათა კლასისა და პარტიისთვის თავდადებული... მთავარი მისთვის ხალხის კეთილდღეობა იყო, ერთნაირად გულისხმიერი და თავაზიანი ბრძანდებოდა როგორც მინისტრების, ისე დამლაგებლების მიმართ. აი, პროტეჟედ კი ვერ გამოიყენებდი, არ უყვარდა პროტექცია.

ნიკოლოზ შვერნიკი

— მე, რა თქმა უნდა, სტალინის გვარდიით აღტაცებული ვარ. აი, ნათესავებისთვის კი...

— არა! არა! არა!... მის ძმას მანქანას მისი სანქციის გარეშე ვაძლევდი, ხოლო ზოგჯერ — მისგან ფარულადაც.

— არადა, თითქოს...

— აი, როგორი ადამიანი იყო!... გარდა სახელმწიფოებრივისა, სხვა ცხოვრება მას არ გააჩნდა. მხოლოდ კვირა დღეს თუ გაისეირნებდა ერთი-ორი საათი, რათა ჯანმრთელობა აღედგინა და ენერგიულად ეშრომა. ზოგჯერ კვირა საღამოს ბილიარდს ვთამაშობდით, უფრო ხშირად მე და ის. ჰქონდა კიდევ ერთი გატაცებაც — უყვარდა საათების შეკეთება. საათი გამიფუჭდებოდა თუ არა, მაშინვე მასთან მივარბენინებდი: „ნიკოლაი მიხაილოვიჩ, აი, ნახეთ...“

— ის რა, მესაათე იყო?!

— არა, მემრუდთარგე. საათთან. არც იმას და არც იმის მშობლებს არავითარი შეხება არ ჰქონიათ... ბიჭუნა ძალიან ადრე დაობლებულა, მუშაობა რომ დაუწყია, თორმეტისაც არ ყოფილა... აი, რას მოუყვა თურმე ერთხელ მავანი თერძი.: გამომიძახეს ერთხელაც სტალინთან. სტალინი შემოდის, ხელში კიტელი უჭირავს. ერთმანეთს რომ მივესალმეთ, ჯერ მკითხა, როგორ ბრძანდებითო, მერე მეუბნება, ეს კიტელი გადასაბრუნებელიაო... არა, ეს კიტელი ცუდი ქსოვილისგანაა, ჩეხოსლოვაკიიდან საუცხოო ქსოვილი მივიღეთ, ძალიან რბილი, ძალიან გრილი და შესანიშნავი ფერისა. აჯობებს, ახალს თუ შეგიკერავთ-მეთქი, — ვეუბნები... ეს რა უყაირათობაა! — აღშფოთდა სტალინი, — მერედა ამას რა ვუყო, გადავაგდო?! არავითარი ახალი არ მჭირდება, გადააბრუნეთ და მორჩა...

— დადიოდით შვერნიკთან ერთად მივლინებაში?

— დიახ, რა თქმა უნდა.

— ვიცი, რომ თქვენი თვალით ნახეთ ქვეყნის კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის შედეგები.

— მაგრამ, ის თუ იცით, სწორედ კოლექტივიზაცია რომ დაგვეხმარა ომის მოგებაში? ეს რომ არა, უნდა გერბინა იმ გაცხარებულ ომში ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში და გეგროვებინა ხორბალი ერთპიროვნული მეურნეებისაგან... კოლმეურნეობა რომ კოლმეურნეობაა, იქაც დარწმუნება გვიწევდა... 1943 წელს ხორბლის მოსაგროვებლად შვერნიკთან ერთად თათრეთი და ბაშკირეთი მოვიარე.

— ხორბლის მოგროვება კოლმეურნეობებიდანაც ჭირდა, კერძოებთან ხომ ლაპარაკიც არ ღირდა...

— ეგრეა, კერძოებთან ლაპარაკიც არ ღირდა. მხოლოდ შვერნიკი კი არა, პოლიტბიუროს დანარჩენი წევრებიც დადიოდნენ ხორბლის მოსაგროვებლად... ჩვენ სადღა აღარ ვიყავით, კაზანში, უფაში, იჟევსკში...

საგულისყურო ამბავი გვიამბო იჟევსკის, არა,. იჟევსკის კი არა, უდმურტეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა... იყო ერთი ასეთი ადამიანი — ჩიკინი, ძალიან საინტერესო პიროვნება, და აი, სწორედ ეს ჩიკინი იყო უდმურტეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. ომის დროს უცებ სტალინი ურეკავს და ეუბნება: „გამარჯობა... სტალინი ვარ, გვესაჭიროება შაშხანები. რამდენის გაკეთება შეგიძლიათ, თან ძალიან სასწრაფოდ?“ არ მახსოვს, მგონი, ერთ თვეშიო... ჩიკინი ეკითხება, ზუსტად რამდენი იყო საჭირო?... „ძალიან ბევრი. რამდენ ათასს შეძლებთ?“ არ მახსოვს, რამდენი დაუსახელა ჩიკინმა. „არა, ეგ სასაცილოა, ეგ ძალიან ცოტაა, — ამბობს სტალინი და, არ ვიცი, ხუთჯერ, არ ვიცი ექვსჯერ მეტს უსახელებს. ჩიკინი ცოტა არ იყოს დაბნეული უპასუხებს: „ამხანაგო სტალინ, მაპატიეთ, მაგრამ ეგ შეუძლებელია...“ რაზეც სტალინი —„იცი, რას გეტყვი, შენი შეხედულებით და ვარაუდით ნურაფერს მიპასუხებ, ჩადი დაბლა, დაჯექი შენ მუშებთან, ინჟინრებთან, ტექნიკოსებთან და ჩემი სახელით გადაეცი, რომ საჭიროა ასეთი რაოდენობის შაშხანების დამზადება, ასეთ და ასეთ დროში. მოუსმინე მათ პასუხსა და რჩევას და მომახსენე“ (ეს მან შვერნიკს უამბო, მაშინ ჩვენ ერთად ვუსხედით მაგიდას). „ესმის, ამხანაგო, სტალინ“, — უპასუხებს ჩიკინი, ჩადის დაბლა, შეკრებს მუშებს და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს სათათბიროდ და როცა ამა თუ იმ საკითხს იქვე ვერ გადაწყვეტენ, გაუშვებს სპეციალისტებს საკითხის გასარკვევად სათანადო ადგილებზე... გარდა ამისა, წესრიგში იყო მოსაყვანი ბაზა, საჭირო იყო დროისა და რესურსების დაზუსტება-გაანგარიშება. და აი, დიდი ხნის თათბირის შემდეგ გადაწყვეტენ, რომ იმ რაოდენობის შაშხანების მომზადება შესაძლებელია, რომ დღე და ღამე მანამდე იქნებიან ქარხანაში, ვიდრე დავალებას სისრულეში არ მოიყვანენ... ჩიკინმა ყველაფერი ეს სტალინს მოახსენა, სტალინმა გაიცინა და ეუბნება: „აი, ხომ ხედავთ, მუშები საქმეში ჩვენზე უკეთესად ერკვევიან...“ ამის შემდეგ ჩიკინი ყოველდღე მოახსენებდა სტალინს, თუ როგორ სრულდებოდა დავალება და თვითონაც, რა თქმა უნდა, დღედაღამ ქარხანაში იყო.

აი, ასეთი საინტერესო ადამიანი გახლდათ უდმურტეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ჩიკინი... ისე, ჩვენ კიდევ უფრო მიყრუებულ ადგილებშიც ვყოფილვართ. მაგალითად, გლაზოვში, რომელიც ზუსტად ავტონომიური რესპუბლიკის საზღვარზეა, და იქ ისეთი მიუვალი ადგილებია. ჩვენი იმ სამი-ოთხი „ვილისითაც“ ძლივს მივიკვლევდით გზას. ყველაზე მეტად იმან გამაოცა, საოლქო კომიტეტის მდივან ჩიკინს ყველა კოლმეურნეობაში არა მარტო სახელით და მამის სახელით იცნობდნენ, არამედ სახითაც. მასზე ისე ლაპარაკობდნენ, ეტყობა, ის ერთხელ და ორჯერ კი არა, ბევრჯერ იყო იქ ნამყოფი.

— აი, როგორ მუშაობდნენ, ადამიანები!

— დიახ, ასეა... თან 1943 წელს. ამის შესახებ თქვენ ლავრენტის ჰკითხეთ. ის ძალიან დიდხანს მუშაობდა შვერნიკთან, გარდა ამისა, მუშაობდა ასევე კოსიგინთან, კაგანოვიჩთან და მალიშევთან. მთელმა დოკუმენტაციამ ევაკუაციის შესახებ სწორედ მის ხელში გაიარა.

შვერნიკს ოცდახუთი წელია, ყოველ ღამე ვხედავ სიზმარში. ოღონდ ახლა მხოლოდ კვირაში ორჯერ... შვილიშვილებს, აი, ამ ბავშვებს გეფიცები, კვირაში ორჯერ აუცილებლად ვნახულობ... თან სულ ვიცავ, სულ მის დაცვაში ვარ... ერთხელ ვლასიკი მეუბნება — დილით ჩავიცვამ და ვისაუზმებ თუ არა, მაშინვე იმას ვნატრობ, ნეტავი მალე დაღამდეს!... რატომ-მეთქი?! — ვეკითხები. სიზმარში სტალინს ვნახავო. აი, ასეთი ერთგული, თავდადებული ადამიანები იყვნენ...

— მაინც, რა ეროვნების იყო შვერნიკი?

— რა თქმა უნდა, რუსი. მისი გვარი შვერნიკოვია, მაგრამ, ხომ იცით, ფსევდონიმის დროს როგორ ხდება. დაბოლოება „ოვ“ ჩამოსცილდა და შვერნიკი დარჩა... მისი ცოლი უკრაინელი იყო — მარია ფეოდოროვნა, ყოფილი პარტიული მუშაკი. მეტსახელად მარუსია ბელაიას ეძახდნენ. სასაფლაოზეც ამ სახელით განისვენებს. ძლიერი ხასიათის ქალი იყო, კალინინი ერთხელ მაგრად შეახურა, თან რომელიღაც მიღებაზე...

(გაგრძელება იძნება)

◎ განათლება

ყველაზე მოკლე გზა დასაქმებისკენ

პროფესიული განათლება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე უძღვება პროფესორი თეონა ხუფენია. ახალგაზრდობა იძენს ხარისხიან განათლებას და ამასთან მაღალი კულტურული აზროვნების ფორმირების გარანტია. იგი პირველთაგანია, სადაც ერთდროულად ხორციელდება აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

პროფესიული განათლების მიღება რომ პრიორიტეტულია, ამას მტკიცება არ სჭირდება, იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს ყველას, რათა შეიძინოს ის ცოდნა და უნარ- ჩვევები არჩეულ პროფესიაში, რაც საჭიროა მისი შემდგომი დასაქმებისა და, საერთო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკური

ქალბატონი თეონა ხუფენია სტუდენტებთან

გაძლიერებისთვის. აქედან გამომდინარე, პროფესიული განათლება არის ყველაზე მოკლე გზა დასაქმებისაკენ.

ქალბატონ თეონა ხუფენიას ნიჭისა და მიზანმიმართული საქმიანობის დასტურია, რომ მან შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შექმნილი პროფესიული პროგრამების განვითარებისთვის შეარჩია რეგიონისთვის სათანადო სპეციალობები. ამასთან ზუგდიდის პარალელურად, სენაკში გაიხსნა ბაზა, რომელსაც ადგილზე უძღვება გამოცდილი და ერუდირებული სპეციალისტი ქალბატონი მანანა ჭანტურია.

ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის რეორგანიზაციის ბაზაზე სენაკში შექმნილია ყველა პირობა მრავალმხრივი და კვალიფიციური პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად. ჯერ ერთი, ტერიტორიულად სენაკი მდებარეობს სამეგრელოს გულში. მეორე — ბაზას აქვს 20ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, რომლის შვიდი ჰექტარი გამოყენებულია ერთწლიანი მარცვლეული კულტურისთვის. აქ ახალგაზრდას შეუძლია ბევრი მიმართულებით დაეუფლოს თეორიულ და პრაქტიკულ ჩვევებს. ამიტომ უპირველესად ჩამოყალიბდა ფერმერის ფაკულტეტი, სადაც შესაძლებელია, მეცხოველეობის, მეთევზეობის, მემცენარეობის და მეფუტკრეობის სპეციალობათა ათვისება. ასევე ახალგაზრდას შეუძლია შეისწავლოს ვეტერინარიისა და ზოოტექნიკოსობის ჩვევები. დასახელებულ ფაკულტეტებზე სწავლება ორ წელიწად-ნახევარია.

სენაკის ბაზაზე უკვე გაშენდა თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით აღჭურვილი მეცხოველეობის ფერმა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 875 ათასი ლარი. გადაწყვეტილია, შეიძინონ ჰოლანდიური ან ადგილობრივი, კვარაცხელიას ჯიშის ძროხები და მოაშენონ ისინი ადგილზე მომზადებული კადრებით.

სენაკის პროფესიული მომზადების კოლეჯს ასევე აქვს ცივი სათბური (504 კვ. მეტრი), სადაც მოჰყავთ ბადრიჯანი, ბულგარული წიწაკა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ამასთან ფუნქციონირებს 300 კვ.მეტრი თბური სათბური, რომელიც მზისა და ელექტროენერგიას იყენებს. ცხადია, პრაქტიკულ საქმიანობაში აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლე ახალგაზრდები. ანუ სწავლება თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირით მიმდინარეობს.

ამავე სასწავლებელში ხორციელდება სწავლება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. მზადდებიან ახალგაზრდა ბიზნეს-ოპერატორები, ოფის-მენეჯერები და ბუღალტრები. ასევე ინჟინერიის მიმართულებით ინფორმაციული ტექნოლოგები.

გათვალისწინებულ იქნა რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნილება სხვა სპეციალობებზეც, ამიტომ ჯანდაცვის მიმართულებით შეიქმნა ფარმაცევტის თანაშემწისა და პრაქტიკოსი ექთნის მომზადების, პედაგოგიკის მიმართულებით ბაგა-ბაღის აღმზრდელისა და იურიდიული განხრით კრიმინალისტიკის ფაკულტეტები. სულ დასახელებულ სპეციალობებზე ამჟამად ჩარიცხულია 160 სტუდენტი, რომელთა მომზადებაზე ზრუნავენ კვალიფიციური აღმზრდელ- მასწავლებლები.

პროფესიულ სასწავლებელს აქვს თანამედროვე დონის მატერიალური ბაზა. სტუდენტების განკარგულებაშია სამსართულიანი კეთილმოწყობილი სასწავლო შენობა უახლესი ავეჯით, რომლის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა მილიონ სამასი ათასი ლარი, ყოველ სართულზე მოწყობილია სველი წერტილი. შექმნილია მძლავრი კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა. შენდება სასპორტო ბაზა და პედაგოგებისა და სტუდენტებისთვის რეკონსტრუქცია უტარდება სამსართულიან სახლს, რომლის პირველი სართული დაეთმობა ღვინის სარდაფს (ეს შენობა ქალაქში ყველაზე ძველია. იგი ეკუთვნოდა თავად ხეციას, გაშენებულია უნიკალური ძველი აგურით და მისი პირველი სართული სავსებით შესაფერისია ღვინის სარდაფისთვის) მეორე სართულზე განთავსდება სასადილო, ხოლო მესამე სართული მთლიანად დაეთმობა სასტუმრო ოთახებს.

მრავალფეროვანი და საინტერესოა უნივერსიტეტისა და პროფესიული ფაკულტეტების სტუდენტთა შემოქმედებითი ცხოვრება. აქ იწვევენ მაღალი რანგის სტუმრებს და ეწყობა შეხვედრები ხელოვნების გამორჩეულ მოღვაწეებთან. ტარდება სასპორტო ღონისძიებები. ზრუნავენ კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმებისთვის.

უბირ და ზარმაც საზოგადოებას წარმატებისთვის ჯერ არასოდეს არ მიუღწევია.. უმაღლესი ფასიანი განათლების საპირწონედ ხელისუფლებამ გამოიჩინა კეთილი ნება და ქვეყნის მოსახლეობას შესთავაზა, უფასოდ დაეუფლონ საკუთარი უნარისა და შესაძლებლობების შესაფერის სპეციალობებს. ამ შანსს გამოყენება უნდა. ვერ ვიტყვით, რომ მოსახლეობის პროფესიულ მომზადებაში ყველაფერი კეთდება და ხარვეზები არ არსებობს., უპირველესად საჭიროა ადამიანების დასაქმებისთვის ზრუნვა, სამუშაო ადგილების შექმნა, რაც სამომავლოდ უნდა გაკეთდეს.

იმედი გვაქვს, რომ განათლების სამინისტრო მეტ ყურადღებას გამოიჩენს რეგიონის მოსწავლე ახალგაზრდობის კლასიკური და პროფესიული განათლების ასამაღლებლად.

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში

„საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა.

ამიერიდან ადვოკატის საქმიანობაში უკანონო ჩარევა დანაშაულებრივი ქმედებაა და ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე და 365-ე მუხლების თანახმად დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა დანაშაულად ჩაითვლება და გამომძიებლისა და პროკურორის საქმიანობაში უკანონო ჩარევის ანალოგიურად დაისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით 180-დან 240 საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე. ასევე, დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით ადვოკატის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

დედამიწის ზურგზე

ბაღდადში ტერორისტული აქტის მსხვერპლთა რიცხვმა 250 კაცს მიაღწია

დანაღმული ავტომობილი აფეთქდა ელ-კარადის რაიონის ცენტრში, სადაც უამრავი რესტორანი და სავაჭრო მოედანია. აფეთქებამ ზოგიერთ შენობაში ხანძარი გამოიწვია. ბევრი დაზარალებული გადაიყვანეს ჰოსპიტლებში კრიზისულ მდგომარეობაში. ტერორისტული აქტი კვირას ღამით გახდა ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ქვეყნის ისტორიაში.

ლონდონის მეტროში გვირაბიდან ათასობით აღამიანს ფეხით გამოსვლა მოუწია

სარელსო ვაკისის დაზიანების გამო ერთ-ერთი მატარებელი იძულებული იყო, გაჩერებულიყო პირდაპირ გვირაბში ლოდონის ცენტრში. „სიბნელეში მხიარულება იყო. მადლობა გვირაბის ხელმძღვანელობას იმისათვის, რომ გამოგვიგზავნა მეგობრული პერსონალი, რათა გამოვეყვანეთ დღის სინათლეზე“, — გაგვიზიარა აზრი ერთ-ერთმა ბრიტანელმა ქალბატონმა.

პენტაგონში აშშ-ის თვითმფრინავების გადატაცება რუსული ავიაციის პროფესიონალიზმად მიიჩნიეს

„ჩვენ ხშირად ვხვდებით რუსებს საერთაშორისო საჰაერო სივრცეში და მის ფარგლებს გარეთ. ასეთ გადატაცებათა უმრავლესობა კვლავ პროფესიონალურად ითვლება, მაგრამ დროდადრო ჩნდება დისკუსიები კონკრეტული ეკიპაჟის პროფესიონალიზმის გამო“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ევროპასა და აფრიკაში, გენერალმა ფრენტ გორენცმა.

ობამა პირველად შეუერთდა კლინტონის წინასაარჩევნო მიტინგს

ეს მოხდა იმ დღეს, როდესაც გამოკვლევის ფედერალური ბიურო რეკომენდაციას იძლეოდა, არ წაუყენონ კლინტონს სისხლის სამართლის ბრალდებები კერძო სერვერების გამოყენების გამო სამუშაო მიმოწერისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნად მუშაობის პერიოდში. ობამამ განაცხადა, რომ „მზადაა, გადასცეს ესტაფეტა“.

ლომბარდიის საბჭომ მიიღო რეზოლუცია ყირიმისა და სანქციების გამო რუსეთთან დამოკიდებულებაში

კერძოდ, დოკუმენტში მითითებულია დიალოგის განმტკიცების აუცილებლობის შესახებ რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. რეზოლუციის შემდგენლები ეროვნული მთავრობისაგან მოითხოვენ, იმუშაონ სანქციების გაუქმებაზე და მოაწესრიგონ კომერციული ურთიერთობანი ყირიმთან.

ინდონეზიაში 35-საათიან საცობში 18 კაცი გარდაიცვალა

უზარმაზარ საცობში აღმოჩნდნენ საგზაო მოძრაობის მონაწილეები, რომლებიც მოგზაურობდნენ ჯაკარტადან ტეგალში ფასიან გზაზე. რეგენტობის მთავარმა ექიმმა შრი გუნადი პარვოკომ განაცხადა, რომ 18 დაზარალებული მგზავრი გარდაიცვალა დაღლილობის გამო. ქვეყნის პრეზიდენტმა მოითხოვა, დაყენონ საგზაო ხერგილები ორი წლის განმავლობაში.

◎ ფიასკო

როსლა გველირსოს ჩვენ გახარება

სტუმრად მოპოვებულ უპირატესობას რომ საკუთარ მინდორზე გაფლანგავ, კრახია, აბა რა.

საჩხერის „ჩიხურაზე“ მოგახსენებთ, რომელმაც ევროპის ლიგის პირველი ეტაპის სასტარტო მატჩი მოლდოვაში „ზიმბრუს“ კი მოუგო — 1:0, მაგრამ შინ იმავე მეტოქესთან 2:3 დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა. არადა, ქართული კლუბი ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ...

გიორგი ზოთაძე

◎ თალლითი მესი

„ჟულიკობა“ გენებში ჰქონია

ესპანურმა სასამართლომ „ბარსელონას“ ფორვარდს ლიონელ მესის და მის მამას ხორხე მესის 21-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა, აგრეთვე 2 მილიონი ევროთი დააჯარიმა.

ფეხბურთელს, მამასთან ერთად, გადასახადების დამალვაში დასდეს ბრალი და მათ სასამართლოს წინაშე წარდგომა მიმდინარე წლის ივნისში მოუწიათ, განაჩენი კი ახლა გამოცხადდა. საუბარია 2007, 2008 და 2009 წლებში მესის საიმიჯო უფლებების გამოყენებისთვის მიღებულ თანხებზე. ბრალდების თანახმად, მესიმ და მამამისმა საგადასახადო სამსახურს 4,1 მილიონი ევრო დაუმალეს.

marca-ს ინფორმაციით, განაჩენი სასჯელის უპირობოდ საპატიმრო დაწესებულებაში მოხდას არ ითვალისწინებს.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ვენუსი გაცოცხლებულა

ექვსწლიანი პაუზის შემდეგ ვენუს უილიამსი პირველად გავიდა დიდი მუზარადის ტურნირის ნახევარფინალში.

უიმბლდონის ხუთგზის ტრიუმფატორმა ორ პარტიაში სძლია რუს ანასტასია პავლიუჩენკოვას და დღეს მეექვსე ტიტულისკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას მისსავე თანამემამულე ელენა ვესნინასთან შეეცდება.

მეორე ნახევარფინალში სერენა უილიამსი და ანჟელიკ კერბერი დაწყვილდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მწუხარებაში ლელოელ კოლეგას ბესო ჯანგავაძეს

მამის

გარდაცვალების გამო.

◎ ოლიმპიური ჩემპიონი

კვარცხლბეკზე რიოშიც ავალთ

1992 წლის 25 ივლისიდან 9 აგვისტომდე ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში XXV ოლიმპიური თამაშები გაიმართა. პაექრობებში 169 ქვეყნის 9356 სპორტსმენი მონაწილეობდა. გათამაშდა მედლების 257 კომპლექტი. 12-მა ქართველმა სპორტსმენმა 8 მედალი მოიპოვა. ჩემპიონები გახდნენ კახი კახიაშვილი (ძალოსნობა), ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა) და დავით ხახალეიშვილი (ძიუდო), ხოლო გიორგი კოღუაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ლეილა მესხი (ჩოგბურთი), რამაზ ფალიანი (კრივი) და ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

1991 წელს ვაკის ძალოსნობის დარბაზში გავიცანი: იანვარი იყო. ის და მისი მწვრთნელი შეშის ღუმელს მიფიცხებოდნენ. ხელს რომ შეითბობდნენ, მერე რკინას ეჭიდებოდნენ. მომდევნო წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

— ცხინვალში დავიბადე და გავიზარდე. — იხსენებს ბავშვობის წლებს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი. — ვანო გრიქუროვი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. მან მიმიყვანა ძალოსნობის დარბაზში. ეს იყო 1982 წელს. იქიდან მოყოლებული ჩემი ცხოვრება შტანგასთანაა დაკავშირებული. მე და ვანო ერთად ვიზრდებოდით: მე — როგორც სპორტსმენი, ის კი — როგორც მწვრთნელი.

— პირველ გამარჯვებას როდის გაუსინჯეთ გემო?

— დიდი გზა „განთიადის“ პირველობით დაიწყო. მახსოვს, საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა წერეთელმა 1983 წელს პირველი ხარისხის დიპლომითა და მედლით დამაჯილდოვა. მომდევნო წელს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდული პირველობა მოვიგე...

დაიბადა 1969 წლის 13 ივლისს. საერთაშორისო შეჯიბრებებზე 1994 წლამდე საქართველოს, მერე საბერძნეთის სახელით გამოდიოდა. XXV (1992, ბარსელონა), XXVI (1996, ატლანტა) და XXVII (2000, სიდნეი) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1995, 1998, 1999) და ორგზის მეორე პრიზიორი (1993, 1994), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1992, 1993, 1995, 1996), მეორე (1994) და მესამე (1998) პრიზიორი, ევროპის თანამეგობრობის სამგზის ჩემპიონი (1995, 1996, 1998), ევროპის სუპერთასის მფლობელი (1993) და მსოფლიოს სუპერთასის გათამაშების ორგზის მეორე პრიზიორი (1992, 1994), სსრკ თასის მფლობელი (1991) და დსთ-ის ჩემპიონი (1992). ორჭიდში დამყარებული აქვს მსოფლიო რეკორდი: 420 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996); ატაცში — ორი მსოფლიო რეკორდი: 185,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1994) და 188 კგ (94 კგ კატეგორიაში, 1999); აკვრაში — სამი: 227,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1995), 228,5 კგ (91 კგ კატეგორიაში, 1995) და 235 კგ (99 კგ კატეგორიაში, 1996). ორჯერ აღიარეს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (1992, 1993). სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. 2005 წელს აღიდგინა საქართველოს მოქალაქეობა. ამჟამად საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია.

— საკავშირო ნაკრებში როგორ აღმოჩნდით?

— საქართველოს ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ მწვრთნელებმა შემამჩნიეს. 1987 წელს მიხმეს საკავშირო ნაკრებში და გერმანიის ახალგაზრდულ ტურნირში გავიმარჯვე, 1989 წელს 20-წლამდელებში ჯერ ევროპა მოვიგე, მერე ამერიკაში მსოფლიოს პირველობაზე სამი ოქროს მედალი მოვიპოვე, თანაც 225 კილო ავკარი და ახალგაზრდების მსოფლიო რეკორდი დავამყარე. 1990 წელს თბილისში „მშვიდობის თასი“ დავიმსახურე.

1992 წლის გაზაფხულზე უფროსებში პირველად ვიასპარეზე კონტინენტის პირველობაზე და ჩემპიონობა მოვიპოვე. ეს წარმატება ჩემთვის დიდი სტიმული იყო. გამარჯვებულებს დსთ-ს ოლიმპიურ გუნდში გვიხმეს.

საქართველო მაშინ სოკ-ის წევრი არ იყო, ამიტომ თამაშებში დამოუკიდებელ გუნდად ვერ გამოვიდოდა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან მოლაპარაკებისას საქართველოს წინადადებას დაუჭირეს მხარი — საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები დსთ-ს გუნდში გამოსულიყვნენ, ოღონდ თავ-თავიანთი დროშებითა და ჰიმნით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ასე გავემგზავრე ბარსელონაში.

— იქ კი კურიოზებს ვერ ასცდით...

— აკრედიტაცია რომ გავიარე, ვნახე, რომ ჩემს ბარათზე რუსეთი ეწერა. ეს ამბავი მაშინდელ სპორტის მინისტრ კახი ასათიანსა და სოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს შევატყობინე. ასათიანმა მითხრა, შენ მედალზე იფიქრე, ამ პრობლემას ჩვენ მოვაგვარებთო.

— ბარსელონის ოლიმპიადა პირადი წონით მოიგეთ. თუმცა, შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად დასრულებულიყო.

— გეთანხმებით. ჩემს პირად მწვრთნელ ვანო გრიქუროვს ოლიმპიადაზე აკრედიტაცია არ ჰქონდა, ამიტომ ბელარუსი სპეციალისტი გონჩარენკო მომამაგრეს მეთვალყურედ, სირცოვს სხვა მწვრთნელი მიუჩინეს. ქართველებმა იმდენი მოვახერხეთ, რომ ბატონი ვანო ოლიმპიურ სოფელში შემოვაპარეთ, მგონი, მოჭიდავე გოგი კოღუაშვილის სააკრედიტაციო ბარათით, რომ ვარჯიშებისას დამხმარებოდა. წონის შეკვეთისა და მოთელვის დროსაც მჭირდებოდა მისი რჩევები, უშუალოდ შეჯიბრებისას კი მოსათელ დარბაზში მოლდოველი სპორტსმენის — თეოდორ კასაპუს სააკრედიტაციო ბარათით შემოვიდა. მწვრთნელის დანახვამ ფსიქოლოგიურად გამამხნევა, ძალის მოზღვავება ვიგრძენი.

— მოდით, ისევ წონასთან დაკავშირებულ პრობლემებს დავუბრუნდეთ.

— მე და სირცოვი შეჯიბრების წინა დღეებში წონას ვაკონტროლებდით. ვიცოდი, რომ მასზე 400-500 გრამით მსუბუქი ვიყავი. ასპარეზობის დღეს ის უჩემოდ წავიდა ასაწონად. მეც ასევე მოვიქეცი — 89,700 კილო ვიყავი. რადგან მეტოქის წონა არ ვიცოდი, თავის დაზღვევის მიზნით, მორიგ აწონვამდე საუნაში შესვლა გადავწყვიტე — რამდენიმე გრამს კიდევ დავაგდებ-მეთქი, ვიფიქრე. გონჩარენკო სასტიკ უარზე იყო — რად გინდა, დაგასუსტებს, მით უმეტეს, სირცოვი შენზე მძიმეაო...



საბედნიეროდ, არ დავუჯერე. ამ მომენტამდე არ მიგრძვნია ვასილი ალექსეევის ხრიკები — თურმე მას ყველაფერი გათვლილი ჰქონია. სირცოვი ოფიციალური აწონვისას 89,450 კილო აღმოჩნდა, მე კი 89,250, ანუ 200 გრამით მსუბუქი. საუნაში რომ არ შევსულიყავი, ოქროს მედალს დავკარგავდი. ალექსეევის დავალებით გონჩარენკო მატყუებდა თურმე.

— მაგრამ წონამდე იყო შტანგასთან შეჭიდება.

— ლენინგრადში დსთ-ს პირველობაზე ატაცის შემდეგ სირცოვთან 10 კილოს ვაგებდი და ბოლოს 2,5 კილოთი ვაჯობე. ბარსელონაშიც მსგავსი სცენარით წარიმართა ჩვენი პაექრობა — ჩემპიონის ბედი ბოლო ცდამ გადაწყვიტა.

ვანოს რჩევით, ატაცში 175 და აკვრაში 222,5 კილო შევუკვეთე. სირცოვს შეკვეთილი ჰქონდა 175 და 220 კილო. ალექსეევმა ეს შეკვეთები გაგვაუქმებინა — კახიაშვილი 170-ითა და 220-ით დაიწყებს, სირცოვი კი 175 და 217 კილოგრამითო. მე და ვანო მაშინ მივხვდით, რომ ჩვენ წინააღმდეგ რაღაც იხლართებოდა, მაგრამ ხმა არ ამოგვიღია. ალექსეევი დსთ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო და გუნდის შედეგებზე ის აგებდა პასუხს, ამიტომ საწყის წონებსაც ის განსაზღვრავდა, გუნდურ ჩათვლაში პირველობა იყო მისი საზრუნავი.

ვანომ შემაგულიანა — მთავარი დაწყება კი არა, დამთავრებაა.

დაიწყო შეჯიბრება. ზედიზედ 170-175-177,5 კილო ავიტაცე — სამივე ცდა გამოვიყენე. სირცოვმა — 177,5-ით დაიწყო. მერე 185 და 190-კილოიანი შტანგაც დაიმორჩილა. პირველი მოძრაობის შემდეგ 12,5 კილოთი გამისწრო.

იმედი არ დამიკარგავს, რადგან აკვრაში მართლაც ძალიან ძლიერი ვიყავი. ვანოც მამხნევებდა — პირველი აგვისტოა და პირველობაც ჩვენი უნდა იყოსო. სირცოვმა მესამე ცდაზე 222,5 კილო დაძლია. მე 220 კილო აწეული მქონდა და ჩემპიონობის შანსი გამიჩნდა. ორჭიდში წონასწორობის აღსადგენად 235 კილო უნდა ამეკრა. ალექსეევმა ამ წონაზე არ მიმიშვა — გუნდისთვის უნდა იმუშაოო და 225 კილო შემაკვეთინა. ამ წონით ვერცხლის მედალი გავინაღდე. დამრჩა ერთი ცდა. გრიქუროვმა ალექსეევს ჰკითხა, 235 კილოზე ხომ გაგვიშვებო. ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და უარი ვერ გვითხრა. 235 კილო ყაზახი ანატოლი ხრაპატის მსოფლიო რეკორდის გამეორება და ოლიმპიური მიღწევის 7,5 კილოთი გაუმჯობესება იყო.

ეს წონა რომ ავკრა, ჩემპიონი ხომ გავხდები-მეთქი, ვკითხე ბატონ ვანოს. ჰო, აუცილებლად უნდა აკრაო.

10 წელიწადი ვემზადებოდი ამ მომენტისთვის. შტანგა რომ წამოვქაჩე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სხვა მეხმარებოდა. ტემპში მოვხვდი — ანუ შტანგის დრეკადობა გამოვიყენე, რომ ნაკლები ძალა დამეხარჯა. წონა რომ დავაფიქსირე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. რამაც თავში გამიელვა, ის იყო — ცხინვალში, ნეტავ, ახლა რა ხდება-მეთქი.

დასაჯილდოებლად გვიხმეს. კვარცხლბეკს რომ მივუახლოვდით, სირცოვმა მითხრა, თქვენები გეძახიანო. ტრიბუნიდან კახი ასათიანი მეძახდა და თან ხელით რაღაცას მანიშნებდა. ჯერ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა, მერე უკან მოვიხედე და რას ვხედავ — ტაბლოზე ჩემი გვარის გასწვრივ რუსეთი ეწერა, ფლაგშტოკზე კი ორი რუსული დროშა ეკიდა. ამ დროს გამომიძახეს კიდეც. ფეხიც არ წამიდგამს, ორგანიზატორებს ზურგზე გაკეთებული წარწერით მივანიშნე, ტაბლო და დროშა გამოეცვალათ. მასპინძლებმაც ორივე ხარვეზი წამებში გამოასწორეს. ყველამ ერთად გავიხარეთ ამ გამარჯვებით. ცხინვალში ხომ მაშინ საომარი მდგომარეობა იყო, ამის მიუხედავად, ჩემს ქართველ, ოს და სომეხ მეზობლებს სახლში ცხვარი მოუყვანიათ და მამაჩემთან ერთად აღუნიშნავთ ჩემი ჩემპიონობა.

— ბატონო კახი, ოლიმპიური ჩემპიონი არჩევანის წინაშე რატომ დადგა?

— ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს მძიმე პერიოდი ედგა. სპორტისთვის არავის ეცალა. ვარჯიშისა და დასვენების ელემენტარული პირობებიც არ მქონდა, ამიტომ შედეგები გავაუარესე — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მეორე ადგილები დავიკავე, ცივ დარბაზში ვარჯიშის გამო იმატა ტრავმებმა. ვითომ ბინით დამაკმაყოფილეს — ფარატინა ქაღალდი მომცეს. აღნიშნულ ადგილას რომ მივედი, იმ სახლში დევნილები დამხვდნენ. დახმარებისთვის ვის არ მივმართე, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. ჩემმა ბერძენმა ნათესავებმა ათენში გადასვლა შემომთავაზეს. დიდხანს ვყოყმანობდი, მაგრამ პერსპექტივა რომ არ ჩანდა, ან თავი უნდა დამენებებინა სპორტისთვის, ან ჩემს თავში სპორტსმენი გადამერჩინა. ერთი წლის შემდეგ საბერძნეთში წავედი,

— დღეს თქვენ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას ხელმძღვანელობთ...

— ბოლო ორი წელიწადია, საგრძნობი წარმატებები გვაქვს. შარშან ლაშა ტალახაძე ამერიკულ ჰიუსტონში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, თბილისში ევროპის ჩემპიონატზე ირაკლი თურმანიძემ გაიმარჯვა (ორივე-მძიმე წონა). მათთან ერთად ოლიმპიადაზე 2012 წლის ევროპის ჩემპიონი რაულ ცირეკიძე (94 კგ) გაემგზავრება. დარწმუნებული ვარ, რომ ოლიმპიურ კვარცხლბეკზე რიოშიც ავალთ.

ვაჟა დანელია

◎ ტრეფიკინგი

ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი...

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველომ ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით პოზიცია გაიუმჯობესა და მეორე კალათიდან პირველში გადაინაცვლა. 2013 წლის შემდეგ ეს კარგი მაჩვენებელია, რადგან სწორედ 2013 წელს გაიუარესა ჩვენმა ქვეყანამ ტრეფიკინგთან ბრძოლის მაჩვენებელი.

ანგარიშის თანახმად, საქართველოს მთავრობა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოფხვრისთვის საჭირო მინიმალურ სტანდარტებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მთავრობამ გააფართოვა ტრეფიკინგთან ბრძოლა, გამოყო ფინანსები და ტრენინგები ჩაუტარა პოლიციელებს, პროკურორებს, მოსამართლეებსა და თავშესაფრების ოპერატორებს.

გარდა ამისა, ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს ეხება, საუბარია იმის შესახებაც, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ისეთი მიდგომა, რომელიც უფრო მეტად მსხვერპლზეა ორიენტირებული, ასევე, გაუმჯობესდა მსხვერპლზე ზრუნვის მექანიზმებიც.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის თქმით, მეორე კალათიდან პირველ კალათში გადანაცვლების ფაქტი ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების, სოციალური მუშაკების და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის ფონდის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს და სხვა არაერთი უწყების ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგია. მისივე სიტყვებით, ტრეფიკინგთან ბრძოლაში ბოლო სამი წლის მანძილზე მთავრობამ თანამიმდევრული და სწორი პოლიტიკა განახორციელა.

თუმცა, წულუკიანი აცხადებს, რომ გამოწვევად რჩება ქუჩაში მომუშავე ბავშვების პრობლემის მოგვარება. მართალია, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დადებითად შეგვიფასა ახლახან მიღებული კანონი მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით, მაგრამ კანონს იმპლემენტაცია სჭირდება და საქართველოს მთავრობა „გადადის იმ უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც ჰქვია ბავშვები ქუჩაში“.

ამავე ანგარიშით საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევენ, გააძლიეროს მუშაობა ტრეფიკინგის მსხვერპლთა ამოსაცნობად, ასევე, ტრეფიკინგის დანაშაულში ჩართულთა გამოსავლენად; უნდა ჩატარდეს მრავალმხრივი კვლევა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მდგომარეობის შესასწავლად და ა.შ.

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი ანა აბაშიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს: ზოგადად, საინტერესოა, რომ ისევ პირველ კალათაში გადავინაცვლეთ და დავწინაურდითა. თუმცა, ის სიტუაცია, რაც ხდება ქუჩებსა და ბავშვთა სახლებში ბავშვთა მიმართ ტრეფიკინგის რისკი, რომლის შესახებაც არაერთხელ დაუწერია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს და მოუთხოვია ამ თემებზე ეფექტური მუშაობა, ისევ უძრავად რჩება.

უფრო მეტიც, ჩვენი ქვეყნის არც ერთ ხელისუფლებას (მათ შორის, არც ამჟამინდელ ხელისუფლებას) არასდროს დაურქმევია კონკრეტული სახელი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემისთვის, რომ არაფერი ვთქვათ, ამ ბავშვებზე მოძალადე პირთა გამოვლენასა და დამნაშავეთა მხილებაზე.

შეგახსენებთ, For.ge მიმდინარე წლის იანვარშიც წერდა, რომ ქუჩაში ბავშვის „მუშაობა“ და ცხოვრება ორგანიზებული დანაშაულის შედეგი იყო. ამ შემთხვევაში, ორგანიზებულ დანაშაულში ჩართული იყვნენ, როგორც ამ ბავშვების კანონისმიერი წარმომადგენლები, ანუ მშობლები, ასევე — მესამე პირები, რომლებიც მონეტარულ სარგებელს იღებდნენ ბავშვებისგან. ამ ყველაფერს კი ეწოდება თანამედროვე მონობა ბავშვების მიმართ.

მსგავსი ფაქტები, განსაკუთრებით, მეტროს მიმდებარე ტერიტორიებზე შეიმჩნევა. მგზავრები და გამვლელები აცხადებენ, რომ დღის კონკრეტულ მონაკვეთში მოდის ვიღაც სრულწლოვანი ადამიანი, რომელიც ბავშვს შეგროვილ თანხას ართმევს და მიდის. როგორც თვითმხილველები ამბობენ, დაახლოებით დღეში ეს საშუალოდ ას ლარს უტოლდება, ამ შემთხვევაში, ბავშვები მთავარი მსხვერპლი არიან.

მანანა ნოზაძე

შვილები ნუნუ, ნანო, როზა, მურმან, ჭაბუკი ომანაძეები, შვილიშვილები ირმა, მაია ჯანგველაძეები, ნონა, ანა, სოფო, გოგი, ალექსი ომანაძეები, შვილთაშვილები ლუკა, ანი, ელენე ჟორჟოლიანები, მარიამ, გიორგი მიქაძეები, ანიტა, მელანია, ირაკლი რაკოვები, დავით, მარიამ, ილია, დანიელ, ლელა საიდები, ნატალი, ანასტასია, ლიზი, გიორგი ომანაძეები, ანდრია, გიორგი ონიანები, ძმისშვილები მიხეილ, ჯემალ, გიზო, მაგული, ქეთევან, ზურაბ, ლალი კუხალაშვილები, დისშვილი ვალერი ასათიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი, უსათნოესი და ძვირფასი დედის, ბებიის, მამიდის და დეიდის, ქალბატონ

ფატი კუხალაშვილი-ომანაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 VII, 17 სთ. დაკრძალვა 9 VII, 14 სთ. მისამართი: ქ. წყალტუბო, ყაზბეგის ქუჩის მე-6 შესახვევი №9.

მიხეილ, ჯემალ, გიზო, მაგული, ქეთევან კუხალაშვილები, ვალერი ასათიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უძვირფასესი მამიდის და დეიდის, სანათესავოს თვალისჩინის, ღირსებით და სიკეთით აღსავსე, ყოველმხრივ გამორჩეული მანდილოსნის

ფატი კუხალაშვილი-ომანაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. პანაშვიდი 6,7, 8 VII, 17 სთ. დაკრძალვა 9 VII, 14 სთ. მისამართი: ქ. წყალტუბო, ყაზბეგის ქუჩის მე-6 შესახვევი №9.

მაგდა პაპიძეს უვადო პატიმრობა მიესაჯა

მეუღლისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძეს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასჯელის ზომა, ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის საფუძველზე, მოსამართლემ განსაზღვრა. პროკურატურა მაგდა პაპიძისთვის უვადო პატიმრობის შეფარდებას, დაცვის მხარე კი სასჯელის მინიმალური ზომის გამოყენებას ითხოვდა.

ნინოწმინდაში 22 წლის ბიჭი მოკლეს

ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი ადგილობრივებმა გვიან ღამით იპოვეს. მათი თქმით, 22 წლის ბიჭი სოფელ დიდ არაგვალის მკვიდრია. სამართალდამცველებმა ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავეს. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108–ე მუხლით მიმდინარეობს.

დევნილი ბავშვები დასასვენებლად ესპანეთის სამეფოში გაემგზავრნენ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ინტეგრაციისა და სოლიდარობის საერთაშორისო ფონდ „FINSOL“-ის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები 20 ბავშვი ესპანეთის სამეფოში გაემგზავრა.

მოზარდები ორი თვის განმავლობაში ესპანურ მოხალისე ოჯახებში დაისვენებენ, სადაც ისინი გაეცნობიან მდიდარ ესპანურ კულტურას, შეისწავლიან ესპანურ ენას და მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სახის აქტივობებში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და ფონდი „FINSOL“ 2008 წლიდან თანამშრომლობენ. მათი ხელშეწყობით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების ბავშვები საზაფხულო არდადეგებს ესპანეთში ყოველწლიურად ატარებენ. პროექტი აფხაზეთის მთავრობის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ორგანიზებით ხორციელდება.

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები ივლისში

ივლისში გეოფიზიკური აქტიურობის გაძლიერება მოსალოდნელია: 9,12,15,16,20,23,26,27 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ავარიულობის ყველა სახეობის ზრდა, სეისმოაქტიურობის გაძლიერება და დაძაბულობა სოციუმში.

9 — მთვარის შეერთება იუპიტერთან ძალწულში. შეიძლება, შეინიშნებოდეს წვრილმანობა, შარიანობა, დავები შეხედულებათა განსხვავების გამო. შესაძლებელია კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის მუშაობის დარღვევა, ფაღარათები და კუჭის შეკრულობა, მოწამვლა. შინაგან ორგანოთა დაავადებანი შეიძლება, დაკავშირებული იყოს გადაჭარბებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ დატვირთვებთან. აუცილებელია, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, არ გადავტვირთოთ კუჭი მძიმე საკვებით. ცოტა ხანს უნდა ვიჯდეთ, მეტი ვისეირნოთ.

12 — მთვარის პირველი მეოთხედი, ვენერა გადადის ლომის ნიშანში. საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, არტერიული წნევის ვარდნები, გულის ტკივილი, ცუდი ძილი. შესაძლებელია შარდ-სასქესო ორგანოებთან დაკავშირებული პრობლემები, სექსუალური მოშლილობა, ინფექციური დაავადებანი. სასურველია, არ მივიღოთ ცხიმიანი, შემწვარი და ცხარე საკვები, რათა არ გადავტვირთოთ კუჭქვეშა ჯირკვალი. მას არ უყვარს ცივი რამ, ამიტომ ნუ გაგიტაცებთ ნაყინი.

15 — მთვარის შეერთება მარსთან ღრიანკალში. შესაძლებელია ანთებითი პროცესები საშარდე ბუშტში, სასქესო ორგანოებსა და სწორ ნაწლავში, შარდის შეკავება, ჰემოროის გამწვავება. არ არის გამორიცხული თავის ტკივილები და უძილობა. უნდა ვერიდოთ ტრავმატიზმს, დავიცვათ დიეტა, ფრთხილად ვიყოთ ცეცხლთან და ბასრ საგნებთან. არახელსაყრელი დღეა ხელშეკრულების ხელმოწერისათვის, ოჯახური ზეიმებისა და საყიდლებისათვის.

კარგი დღეა სწავლისათვის, ინტელექტუალური მუშაობისა და ფიზიკური შრომისათვის.

16 — მთვარის შეერთება სატურნთან მშვილდოსანში. არ არის გამორიცხული დეპრესია, ფიზიკური და სულიერი სისუსტე. ამ დღეს უნდა გვეშინოდეს ტრავმატიზმის, გადაცივების. ახალი საქმეების წამოწყება არ არის საჭირო. შესაძლებელია საჯდომი ნერვის ანთება, მენჯ-ბარძაყის სახსრების ტკივილები და სახსრების, ღვიძლისა და ნაღვლის გამომყოფი სისტემის დაავადებანი. რეკომენდებულია, არ მივიღოთ ალკოჰოლი, მძიმე და ცხიმიანი საკვები,

არ გადავტვირთოთ ფეხები (დაავადებული ვენების დროს). სასურველია, თავი ავარიდოთ დავებსა და კამათს, მეტხანს ვიყოთ ჰაერზე, მივიღოთ წყლის პროცედურები.

19 — მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რძაში. დიდია ძვლებისა და სახსრების დაავადების, ართროზებისა და ართრიტების, რევმატიზმის გამწვავების, თირკმლებში და ნაღვლის ბუშტში ქვების პრობლემების ალბათობა. გაუფრთხილდით სახსრებსა და ხერხემალს. ნუ ასწევთ სიმძიმეებს, ერიდეთ გაცივებას.

სასარგებლოა გაჯანსაღების, კანის მოვლის ყველა პროცედურა, გასეირნება.

20 — სავსე მთვარე. შესაძლებელია გაზრდილი დაბნეულობა და გაღიზიანება. საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, არტერიული წნევის ვარდნები, ტრავმატიზმი. არ არის გამორიცხული საერთო სისუსტე, ეცადეთ, აკონტროლოთ თქვენი ემოციები, ნუ გადაღლით ფეხებს ხანგრძლივი სიარულით.

კეთილნაყოფიერად მოქმედებს ტანვარჯიში ფეხების სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებისათვის და სახსრებში ტკივილების შემსუბუქებისათვის. შემოქმედებით ადამიანებს შეიძლება, გაუჩნდეთ ახალი იდეები. ხელსაყრელი დროა ინტელექტუალური საქმიანობისათვის, დასვენებისთვის, გასეირნებისა და ფიზიკური ვარჯიშებისათვის.

23 — მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზებში. შეიძლება, გამწვავდეს ფსიქიკური სნეულებანი, ღვიძლისა და ფეხის ტერფების დაავადებანი. სასურველია, თავი შევიკავოთ სპირტიანი და აღმგზნები საშუალებებისაგან. წამლები მოქმედებენ უფრო ძლიერად, ვიდრე სხვა დღეებში. საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებებმა შეიძლება, ალერგია გამოიწვიოს. ერიდეთ ტრავმატიზმს, მოტყუებასა და ქურდობას.

სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი, მსუბუქი გასეირნებანი.

26 — მთვარის შეერთება ურანთან ვერძში. შეიძლება შეინიშნებოდეს გაღიზიანებულობა, სიფიცხე, მოუთმენლობა, შესაძლებელია თვალების, კბილების ან სმენის ორგანოების დაავადებანი. ერიდეთ სტრესებს და აღმგზნებ საშუალებებს, მოწევას, ცხიმიან საკვებს. სვით მეტი სუფთა წყალი, დაასვენეთ თვალები. იყავით ფრთხილად ცეცხლთან, ერიდეთ წვეტიან საგნებს, ტრავმატიზმსა და დაცემებს.

ხელსაყრელია ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები და გასეირნებანი.

27 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. სასურველია, არ დავძაბოთ სახმო სიმები, ვერიდოთ გაცივებას, კვების უხარისხო პროდუქტებს.

ხელსაყრელი დროა წამოწყებული საქმეების დამთავრებისთვის, საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, მოლაპარკებებისთვის, მეგობრული შეხვედრებისთვის. სასარგებლოა წყლის პროცედურები და გასეირნებები.

„ქარწაღებულნის“ ვარსკვლავი 100 წლის იუბილეს ზეიმობს

ჰოლივუდის ვარსკვლავს ოლივია დე ჰევილენს, რომელმაც ცნობილ ფილმ „ქარწაღებულნში“ მელანის როლი განასახიერა, 1 ივლისს 100 წელი შეუსრულდა.

ოლივია მერი დე ჰევილენი 1916 წლია 1 ივლისს ტოკიოში დაიბადა. მისი დედა თეატრალური მსახიობი იყო, ხოლო მამა – ცნობილი ბრიტანელი ადვოკატი.

ოლივიამ თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მრავალ ფილმში ითამაშა და „ოსკარის“ ლაურეატი ორჯერ გახდა. სამსახიობო კარიერის გარდა, მან პოპულარობა მოიპოვა საჩივრის წყალობით, რომელიც კინოსტუდია Wamer Bros-ის წინააღმდეგ შეიტანა და დიდი ბრძოლის შემდეგ მსახიობებისთვის შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვება შეძლო.

ოლივია დიდი ხნის განმავლობაში ტელევიზიაში მუშაობდა. მან ბოლო როლი ფილმში „ქალი, რომელიც მას უყვარდა“ 1988 წელს ითამაშა. სამსახიობო კარიერის დასრულების შემდეგ დე ჰევილენი პარიზში დასახლდა. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე „ქარწაღებულნის“ ერთადერთ ცოცხალ ვარსკვლავად რჩება. როგორც ცნობილია, ვივიენ ლი, რომელმაც ფილმში სკარლეტ ო'ჰარა-ს როლი განასახიერა, 1967 წელს ტუბერკულოზით გარდაიცვალა, ხოლო რეტ ბატლერის როლის შემსრულებელი კლარკ გეიბლი უფრო ადრე, 1960 წელს დაიღუპა.

კანადის ხელისუფლებამ მესამე სქესი ოფიციალურად აღიარა

კანადაში მესამე სქესი ოფიციალურად აღიარეს. სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის საბუთებში ასო «X»-ს გამოიყენებენ, განაცხადა კანადის მთავრობის ხელმძღვანელმა ჯასტინ ტრიუდომ.

ეს გადაწყვეტილება კანადის ხელისუფლებამ ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოს გეი-კლუბში 12 ივნისს მომხდარი ტერაქტის შემდეგ მიიღო. მაშინ ტერორისტის მიერ კლუბზე მიტანილი იერიშის შედეგად 49 ადამიანი დაიღუპა, 53 კი დაიჭრა.

კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრიუდო ქვეყნის პირველი მოქმედი პრემიერი გახდა, რომელიც კვირას, 3 ივლისს ტორონტოში ჩატარებულ ლგბტ-აღლუმს ოფიციალურად დაესწრო.

„ეს ჩემთვის ლგბტ-საზოგადოების მიერ ჩატარებული კიდევ ერთი შესანიშნავი დღესასწაულია“, – განაცხადა ტრიუდომ.

ნინო ნიორაძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„თბილისობა 2016“ 15–16 ოქტომბერს გაიმართება

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის მერიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე გააკეთა. როგორც დავით ნარმანიამ აღნიშნა, დღესასწაული წელს განსაკუთრებით მასშტაბური იქნება და მთელ ქალაქს მოიცავს. ღონისძიების აღნიშვნასთან დაკავშირებული ნებისმიერი განაცხადი (პროექტი, იდეა, მოსაზრება, წინადადება) მერიაში მიმდინარე წლის 31 ივლისამდე მიიღება.

შემოსული განაცხადები სადღესასწაულო ღონისძიების საერთო კონცეფციასთან შესაბამისობაში განიხილება. დაინტერესებულ პირებს განაცხადების შემოტანა შეუძლიათ, თბილისის მერიის კანცელარიაში (შარტავას ქ. №7), კულტურის საქალაქო სამსახურის სახელზე.

მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ, თავისი აზრი დააფიქსირონ „თბილისობის“ თემასთან დაკავშირებით. შარშან დანერგილი ტრადიციის თანახმად, ყოველწლიურად თბილისობა კონკრეტულ თემას ეძღვნება. შარშან დღესასწაული გარემოს დაცვასა და ეკოლოგიას მიეძღვნა.

ინდური „ტაიმ-აუტი“

ადამიანის მოღვაწეობის ფაქტორივად ყველა სფეროში გარკვეულ სიდიდეთა განზომილების ერთეულები არსებობს. თავისი ნორმატივები ისეთ ძნელად „ასაწონ-გასაზომ“ სფეროსაც აქვს, როგორიცაა კულტურა. არასდროს დაფიქრებულხართ, მაინც რატომაა კინოფილმების ხანგრძლივობა მაინცდამაინც საათნახევარი?

ხელოვნების ყველა ფორმას გარკვეული შემოქმედებითი პრინციპები აქვს, რომელთა მიხედვით სხვადასხვა სტანდარტი დგინდება, თუმცა, მათ საფუძვლად ადამიანის ფსიქოლოგია უდევს.

თავდაპირველად იმავე კინოფილმების ხანგრძლივობა საპროექციო აპარატის ბობინაში ფირის სიგრძით იყო განპირობებული. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, კინოფილმის ხანგრძლივობა ცდების შედეგად დაადგინეს. აღმოჩნდა, რომ კომერციული, ასევე მაყურებლის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ფილმი საათნახევარს უნდა გრძელდებოდეს. ეს სწორედ ის დროა, რომლის განმავლობაში საშუალოსტატისტიკურ მაყურებელს, გონების გაუფანტავად და დაუღლელად, აუდიოვიზუალური მწკრივის აღქმა შეუძლია.

მაგრამ, რომ იტყვიან, ყველა კანონს თავისი გამონაკლისი აქვს. მაგალითად, ინდოეთში კინოფილმის ხანგრძლივობა ორნახევარი საათია, თუმცა კი შუაში მაყურებლებს 15-წუთიან „ტაიმ-აუტსაც“ აძლევენ.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

კახელს ეკითხებიან, როგორა ხარო და...

– ეხლა იგრე ვარ, ჯიხვ რო უკან ჩავბერო, რქებ გავუსწორებ.

* * *

ჭიჭიკიას და შერლოკ ჰოლმსს ერთ კარავში სძინავთ. გამთენიისას ჭიჭიკია აღვიძებს ჰოლმსს:

– მაღლა ვარსკვლავები რომ ჩანს, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს, ბატონო ჰოლმს?

– სამი წლის შემდეგ, ზუსტად ამ დროს, გამთენიისას, შეიძლება მოხდეს დიდი მიწისძვრა!...

– მიწისძვრა კი არა, კარავი მოგვპარეს, კარავი!

* * *

კახელს თავზე დააჯდება ყვავი, კახელი ხელს აუქნევს და გასძახებს:

– სხვა ხე ვერ ნახე, შე შობელძაღლო?

* * *

გურული ცოლს მოიყვანს. პირველ ღამეს ცოლი ფანჯარასთან დგას და მორიდებით იყურება.

გურული ამხნევებს.

– ეჰ, ბაღანეს ხათრიზა, თვარა რავა გაკადრებდი მე შენ ამას!

* * *

– მე მგონი, თქვენ ჩემთან უკვე იყავით, – ეუბნება ექიმი პაციენტს, – თქვენი გვარი შემახსენეთ!

– სიდამონიძე.

– პრევლიტი?

– არა, ნიკოლოზი.

* * *

– **როდესაც** მე თქვენგან მანქანას ვყიდულობდი, თქვენ შემპირდით, რომ შემიცვლიდით ყველაფერს, რაც გამიფუჭდებოდა და გამიტყდებოდა. მართალს ვამბობ?

– დიახ.

– მაშინ, მომეცით სამი წინა კბილი, მარცხენა მენჯის ძვალი და ორი ნეკნი.

* * *

– **რა** არის გარდამავალი ასაკი?

– გარდამავალი ასაკი არის ის, როდესაც პენსიას არ გაძლევენ – ახალგაზრდა ხარო, ქალები კი არ გაძლევენ – ბებერი ხარო...

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, მ. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.307; ევრო - 2.57;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.065;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.463;
1000 სომხური დრამი - 5.831

ამინდი 7 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +31
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +28
თბილისი:	ღამე +18,	დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE